საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბოჭდ-ვუტი სიფცვაა, ფცუილებით და ჭიტებით ბუტ-თის გაფანა ყვეოა უკადრისობაგე უსაძაგლესია.

ოთხშაბათი, 3 მაისი. 2023 წ. №49 (9581) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru | ფასი 1 ლარი

დღეს მთავარია, უარი ვუთხრათ ქვეყნის არევას, დამცირებასა და შეურაცხყოფას!

საზოგადოების ულტიმატუმი პრინციპული და შეუვალია!

იხ. 3 გვ.

პაატა კოლუაშვილი | სოსო არჩვაძე

ჩვენ შეგვიძლია მეტი ქართული ხარისხიანი პური ვაწარმოოთ!

„ჩვენ მარტო იმას უნდა ვეცადოთ, პური იმდენი მოვიყვანოთ, რომ სასყიდელი არ გაგვიხდეს, ჩვენ და ჩვენს შინაურ ბაზარს ეყოს“.

ილია ჭავჭავაძე

იხ. 5 გვ.

კახა კალაძე:

ბიძინა ივანიშვილს ფინანსური სანქციებით ნამდვილად ვერ დააშანტაჟებენ!

იხ. 2 გვ.

უკრაინული იაფი პროდუქტის პრობლემამ ევროპა გადარია!..

იხ. 8 გვ.

ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო კორტი რუსთავში

იხ. 10 გვ.

ეროვნული ფასეულობანი



ქართველ მეცნიერ-გეოლოგთა თაობის შემქმნელი, პეტროგენერალოგიის ფუძემდებელი

იხ. 7 გვ.

აკადემიკოსი **რევაზ გაჩეჩილაძე**

შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი, დიპლომატი და, უბრალოდ, ადამიანი

იხ. 6 გვ.

აკადემიკოსი **დავით შენგელია**

ფინანსთა სამინისტრო: დღემდე არ არსებობს საქართველოს მიერ საერთაშორისო სანქციების დარღვევის არც ერთი ფაქტი!

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ეხმაურება საქართველოს მიერ საერთაშორისო სანქციების აღსრულების პროცესთან დაკავშირებით, ბოლო დღეებში ზოგიერთი მედიასაშუალებით გავრცელებულ მორიგ დეზინფორმაციას და კიდევ ერთხელ, კატეგორიულად აცხადებს, რომ საერთაშორისო სანქციების დაწესების დღიდან, ჩვენი ქვეყანა სრულად იცავს დადგენილ წესებს და საზღვარზე მკაცრ მონიტორინგს უწევს ყველა ტიპის საბაჟო ოპერაციას, – ამის შესახებ ნათქვამია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადებაში.

„აღნიშნულის გათვალისწინებით, ყველა ის პროდუქცია, რომელიც მოხვედრილია სანქციების მონაწილე ქვეყნების მიერ განსაზღვრულ სიაში, მათ შორის, სიუჟეტში მოყვანილი საყოფაცხოვრებო ელექტროტექნიკა, რომელიც გადაადგილდება საქართველოს გავლით – ექვემდებარება განსაკუთრებულ საბაჟო კონტროლს და მოწმდება დეტალურად. აგრეთვე, დამატებით გადამოწმებას ექვემდებარება საქონლის წარმოშობის სერტიფიკატის გაცემის შემთხვევები, რათა საქართველო არ იქნას გამოყენებული დაწესებული სანქციებისგან თავის არიდების საშუალებად.

სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ დღემდე არ არსებობს საქართველოს მიერ საერთაშორისო სანქციების დარღვევის არც ერთი ფაქტი, რაც დასტურდება მათ შორის საქართველოში ევროკავშირის და აშშ-ის ელჩების მიერ მედიასაშუალებებთან გაკეთებული განცხადებებით.

შესაბამისად, ნებისმიერმა პირმა, რომელიც საქართველოს მიერ სანქციების დარღვევის შესახებ ბრალდებებს აუღერებს, უნდა წარმოადგინოს შესაბამისი მტკიცებულებები. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩაითვლება, რომ ეს არის მიზანმიმართული ქმედება – ყალბი ინფორმაციის გავრცელებით, ქვეყანას მიაყენონ რეპუტაციული ზიანი, რაც არ დარჩება რეაგირების გარეშე ჩვენი მხრიდან“, – ნათქვამია განცხადებაში.

ილია დარჩიაშვილი – ისრაელში

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი, ილია დარჩიაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელის სახელმწიფოს ეწვია. ვიზიტის ფარგლებში ხელი მოეწერა საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების შესახებ მიზანშეწონილობის კვლევის დასრულების ერთობლივ დეკლარაციას.

საქართველოს მხრიდან დეკლარაციას ხელი ილია დარჩიაშვილმა მოაწერა, ხოლო ისრაელის მხრიდან, ისრაელის ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრმა, ნირ ბარკატმა. ხელმოწერის ცერემონიამდე გაიმართა მინისტრის შეხვედრა ისრაელის ეკონომიკისა და მრეწველობის მინისტრთან. შეხვედრის ფარგლებში განიხილეს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის დღის წესრიგში არსებული აქტუალური საკითხები და ხაზი გაესვა თანამშრომლობის დიდ პოტენციალს ეკონომიკური მიმართულებით, რომელიც მოიცავს ორმხრივი ვაჭრობის, ინვესტიციებისა და ტურიზმის სფეროებს.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში ილია დარჩიაშვილი შეხვდა ისრაელელ კოლეგას/კოლეგა მინისტრს, ელი ქოენს და ისრაელის სახელმწიფოს პრეზიდენტს, იცხაკ ჰერცოგს, ქნესეთის თავმჯდომარეს, ეკონომიკის, ტურიზმის და შინაგან საქმეთა მინისტრებს. საგარეო საქმეთა მინისტრმა „იად ვაშემის“ ჰოლოკოსტის მემორიალი ქართველი ხალხის სახელით გვირგვინით შეამკო.

კახა კალაძე: ბიძინა ივანიშვილს ფინანსური სანქციებით ნამდვილად ვერ დააშანტაჟებენ!

ჩვენ ღიად განვაცხადეთ, რომ არ ვუერთდებით სანქციებს, რადგან არ გვინდოდა, დაგვეზიანებინა ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხალხი. დღეს ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი არის მშვიდობა, ეკონომიკური განვითარება, – ამის შესახებ დედაქალაქის მერმა, კახა კალაძემ განაცხადა.

კახა კალაძეს კითხვით მიმართეს, როგორ შეაფასებდა იმას, რომ გარე აქტორების მხრიდან ბიძინა ივანიშვილის სანქცირებასთან დაკავშირებით მოწოდებები გახშირდა.

კალაძის განცხადებით, დღეს ყველაზე მეტი შეტევა არის ივანიშვილზე და საზოგადოებისთვის ყველაფერი ნათელია, რატომ ხდება ეს.

„ზეწოლა გრძელდება. ბოლო თვეების განმავლობაში რასაც განცხადებების სახით ვისმენთ, ამასთან დაკავშირებით ყველამ ვიცით, რა არის მთავარი მიზეზი, რატომ ხდება, რატომ არის ეს დამოკიდებულება საქართველოს ხელისუფლების მიმართ. ჩვენ აბსოლუტურად ღიად განვაცხადეთ, რომ არ ვუერთდებით სანქციებს. არ გვინდოდა, დაგვეზიანებინა ჩვენი ქვეყანა, საკუთარი ხალხი, ჩვენი ქვეყნის მოსახლეობა. როგორ შეიძლება, ახლა ჩვენ შევუერთდეთ სანქციებს? დარწმუნებული ვართ იმაში, რომ ამით რუსეთს დავაზიანებთ? პირიქით, საკუთარ თავს დავიზიანებთ. იგივეა მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით, ჩვენ ხომ გამოვიარეთ ეს ყველაფერი, ჩვენ ხომ გადავიხადეთ საფასური, ხომ ვიცით, რამხელა უბედურება მოაქვს ომს, რამხელა ზიანი მოგვაყენა 2008 წელმა. ამიტომ დღეს ყველაზე მთავარი, მნიშვნელოვანი არის მშვიდობა, სტაბილურობა, ეკონომიკური განვითარება. ყველაზე მეტი შეტევა არის ბიძინა ივანიშვილზე. თანხები ყოველგვარი კანონის გვერდის ავლით გაუჩერეს შვეიცარიაში, ვერანაირი ახსნა-განმარტება ვერ მოიძებნა, რატომ ხდება ეს ყველაფერი, თუმცა ჩვენთვის, საზოგადოებისთვის ყველაფერი ნათელია“, – განაცხადა კახა კალაძემ.

კიდევ ერთ კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ბიძინა ივანიშვილის მიმართ სანქციები ფორმალურ სახეს მიიღებს, რა შედეგები შეიძლება, მოიტანოს ამ ყველაფერმა, კახა კალაძემ აღნიშნა, რომ ივანიშვილს თანხებით ვერ დააშანტაჟებენ.

„შედეგს ვერ მიიღებენ, რადგან არ იცნობენ ბიძინა ივანიშვილს. ივანიშვილს ნამდვილად ვერ დააშანტაჟებენ თანხებით, ფინანსური სანქციებით, რომ ამის გამო რაღაც არასწორი გადაწყვეტილება მიიღოს და ქვეყნის, ხალხის საწინააღმდეგოდ გადადგას ნაბიჯი. ბიძინა ივანიშვილის ფენომენს არ იცნობენ და ეს არის სამწუხარო რეალობა“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

არჩილ თალაკვაძე: ბიძინა ივანიშვილს ემუქრებიან, რადგან!..

მინდა, პირდაპირ ვთქვა, რა სანქციებით და რისთვის ემუქრებიან ბატონ ბიძინა ივანიშვილს. ემუქრებიან იმიტომ, რომ მან ქვეყანაში დააბრუნა დემოკრატია, ადამიანის უფლებების დაცვა და ქვეყნის მართვა ინსტიტუტებით და არა – კლანურად და არა – იმ ფარული ჩრდილოვანი ინტერესებით, როგორც ამას აკეთებდა წინა ხელისუფლება, როდესაც ქვეყნის ინტერესები, მოქალაქე არ იყო მთავარი, არამედ მთავარი იყო ის, თუ რა სჭირდებოდათ მათ და რა დავალებები ჰქონდათ მიღებული, – ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, არჩილ თალაკვაძემ გუშინ პარლამენტის პლენარულ სხდომაზე განაცხადა.

ვინ წყვეტს არჩევნების ბედს?!

30 აპრილს საზოგადოების დიდმა ნაწილმა რესპუბლიკის მოედანზე პროტესტი გამოხატა არსებული პოლიტიკური პროცესების მიმართ, რომელიც საფრთხეს უქმნის ეროვნულ ღირებულებებს და ქვეყნის სუვერენიტეტს. ოპოზიციის დიდმა ნაწილმა, სათქმელი რომ აღარაფერი დარჩა, კრიტიკული საუბარი დაიწყო ამ საზოგადოების ასაკზე. მათი უპატივცემულობა ხალხის მიმართ არაერთხელ გვინახავს და არც გვიკვირს, მაგრამ აქ მნიშვნელოვანია ის ფაქტორი, რომ არ იციან, რამდენად საშიში და ანგარიშგასაწევია სწორედ ეს ასაკობრივი სეგმენტი არჩევნებზე. არა მარტო ჩვენთან, არამედ, თითქმის ყველა ქვეყანაში, არჩევნების ბედს ის ასაკობრივი სეგმენტი წყვეტს, ვინც აპრილის ბოლო დღეს რესპუბლიკის მოედანზე იდგა.

ზოგადი მონაცემებით, ამომრჩეველთა აქტივობა ასაკობრივ სეგმენტზე ასე ნაწილდება: 54 % – 35-დან 65 წლამდე (საშუალო ასაკი საპენსიო ასაკამდე); 25 % - 65 წლიდან ზემოთ (პენსიონერები); 15 % – 25-დან 35 წლამდე (მეორე ახალგაზრდული სეგმენტი); 5-6 % – 18-დან 25 წლამდე (პირველი ახალგაზრდული სეგმენტი).

ამომრჩეველთა აქტივობის ეს მონაცემები თითქმის სტანდარტულია ყველა ქვეყანაში, განსხვავებულია იმით, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოებში ახალგაზრდების პროცენტული მაჩვენებელი არჩევნებზე კიდევ უფრო მცირეა ასაკოვანი ხალხის აქტივობის ხარჯზე. თუ ამ ფაქტებით ვიმსჯელებთ, გუშინდელი აქცია არათუ მხოლოდ საყურადღებო, არამედ, სერიოზული საფრთხის შემცველიც კი არის ჩვენი ოპოზიციისთვის. გამოდის, რომ ყველაზე აქტიური ამომრჩევლის უდიდესი ნაწილი მათ პოლიტიკას აკრიტიკებს.

თამარ ჩიგურდანიძე

გატაცებული სამი მეზღვაურიდან ორი საქართველოს მოქალაქეა

„სამხრეთ აფრიკაში საქართველოს საკონსულოდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, 2 მაისს, ღამის საათებში, გაბონის ტერიტორიულ წყლებში ღუზაზე მდგომი გემიდან გაიტაცეს სამი მეზღვაური, მათ შორის ორი საქართველოს მოქალაქეა.

გემზე დარჩენილ მეზღვაურებს საფრთხე არ ემუქრებათ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო, საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად აქტიურად მუშაობს, მათ შორის საკრუინგო და გემთმფლობელ კომპანიებთან ჩვენი მეზღვაურების ტყვეობიდან გამოსახსნელად.

ქართველი მეზღვაურების უსაფრთხოებიდან გამომდინარე, მოგიწოდებთ თავი შეიკავოთ დეტალებისა და რამე სახის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაციის საინფორმაციო საშუალებებით გავრცელებისგან“, – ნათქვამია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს განცხადებაში. სააგენტოს წარმომადგენლები უკვე დაუკავშირდნენ ოჯახის წევრებს და მიაწოდეს დეტალური ინფორმაცია.

საზოგადოების ულტიმატუმი პრინციპული და შეუვალია!

...ჯერ იყო ფეხგურთი, შემდეგ აქცია. მიუხედავად წვიმისა, რესპუბლიკის მოედანზე აქციის მონაწილეებმა შეკრებამ 15 საათიდან დაიწყეს. აქციაზე, რომლის სლოგანიც იყო „მოვდივარ“! 50 ათასზე მეტი ადამიანი გამოვიდა. აქციის დაწყებამდე შეკრების მონაწილეებმა ადგილზე სპეციალურად დამონტაჟებული მონიტორებიდან ხვიჩა კვარაცხელიას საფეხბურთო კლუბ „ნაპოლის“ თამაშს უყურეს. ამის შემდეგ კი სპეციალურად მოწყობილი სცენა აქციის ორგანიზატორებმა დაიკავეს.

როგორც აქციის მონაწილეები აცხადებდნენ, წვიმაში მოდიან სწორედ იმიტომ, რომ არ დაუშვან ქვეყანაში რეჟიმის ხელისუფლებაში დაბრუნება. აქციას ესწრებოდა ანალიტიკოსი, „ხალხის პარტიის“ წევრი **დავით ქართველიშვილი,** რომლის განცხადებით, წვიმაში მოვიდნენ იმის დასტურად, რომ „დიდგორმა“ და საკუთარი ღირსებისთვის ბრძოლამ წვიმა და ქარი არ იცის.

„ეს დაგვიფასა უფალმა და საუცხოო საააქციო ამინდი გვაჩუქა. შეკრებამდე ერთი საათით ადრე მოედანზე ტევა არ არის. ხალხი მოდის და მოდის... მოდის ის ხალხი, რომელიც IRI-ს კვლევებით ამ ქვეყანაში „არ არსებობს“. მოვიდა და მოდის ის ქართველი ხალხი, რომელიც მხოლოდ იმიტომ არის „რუსული პროექტი“, რომ ღმერთი სწამს და სამშობლო უყვარს. დღეს მსოფლიო „აღმოაჩენს“ ჩვენს არსებობას. ველოდებით ოფიციალურ ნაწილს. ველოდებით ხალხის ხმას, რომელიც ყველა ჩვენს „დაუძინებელ მეგობარს“ უნდა გავაგონოთ“, – ამბობს **დავით ქართველიშვილი.**

აქცია, რომელიც **უცნობისა** და **ზაზა პაპუაშვილის** მიერ იყო ორგანიზებული, 2 საათზე მეტხანს გაგრძელდა. აქციის მთავარი სლოგანი იყო „საქართველო უპირველეს ყოვლისა“!.. აქციის მონაწილეებს ზაზა პაპუაშვილმა, უცნობმა და სხვა ცნობილმა სახეებმა მიმართეს.

ორგანიზატორები და მონაწილეები აღნიშნავენ, რომ საქართველოს ბედი ვერც მოსკოვში, ვერც ვაშინგტონში, ვერც ბრიუსელსა და ვერც კიევში გადაწყდება. აქციაზე გახმოვანდა მოთხოვნები ხელისუფლების მიმართ, მათ შორის „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდისთვის შესაბამისი პოლიტიკური შეფასების მიცემა და საქართველოში ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა.

გარდა ამისა, გადაწყდა, რომ აქციის ორგანიზატორებმა შექმნან ორი საინიციატივო ჯგუფი, საიდანაც ერთი ჯგუფი იმუშავებს, რომ დიპლომატიურ კორპუსს ქართველი საზოგადოების აზრი მიაწოდონ. მეორე ჯგუფი კი იმუშავებს იდეებისა და კანონების შემუშავებაზე, რითაც ხელისუფლებას დაეხმარებიან. ორგანიზატორების თქმით, შეკრება არ იქნება ერთჯერადი და მომავალშიც გაგრძელდება.

რესპუბლიკის მოედანზე შეკრებილებს მიმართა აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა **ზაზა პაპუაშვილმა,** რომლის განცხადებით, ჩვენი ხალხი, საზოგადოება ითხოვს მშვიდობას და არა ომს. როგორც მან აღნიშნა, მოდიან იმიტომ, რომ არავინ გაბედოს ამდენი სიბილწის, ვერაგობის და ღალატის გაფიქრება საზოგადოების სახელით.

„მზად ვართ ნებისმიერ ქვეყანასთან, ერებთან თუ ხალხებთან მეგობრობისთვის და თანამშრომლობისთვის, ოღონდ არა საკუთარი თავისა და იდეენტობის გაქრობის ხარჯზე. ჩვენ ვაერთიანებთ და არ ვყოფთ საზოგადოებას, ეს გზავნილია შინ თუ გარეთ. მოვდივართ იმიტომ, რომ ყველამ გაიგოს, ყველამ იცოდეს, რომ ჩვენ ვერ ვიხედნებით და ვერავის უნაგირს ვერ ვგუობთ.

გვინდა, სუფთა ვიყოთ საკუთარ სინდისთან და უპირობო პატივისცემა გამოვხატოთ ჩვენი ქვეყნის მიმართ. მოგვიწევს ამის შეხსენება, რათა მიიღონ და აღიარონ საქართველო ისეთი, როგორიც ის ღმერთმა დალოცა და გააჩინა. ნურც ნურავის მოუვა აზრად მისი დაკოდვა, გამოშიგვნა და გადასხვაფერება. ჩვენი ხალხი, საზოგადოება ითხოვს მშვიდობას, არა – ომს!

მოვდივართ იმიტომ, რომ ვუთხრათ არა ყველანაირ ფაშისტურ, ბოლშევიკურ, სადისტურ მისწრაფებებს და გამოვლინებებს, ქვეყნის არევას, ჩვენი ქვეყნის საქმეებში ჩარევას, დაუსაბუთებელ რეზოლუციებს და სანქციებს, დამცირებას და შეურაცხყოფას, მუდმივ რყევას და დასამარებას. მოვდივართ იმიტომ, რომ შევიგრძნოთ ერთსულოვნების სურნელი და გავიხაროთ ერმანეთთან შეხვედრით. ამიტომ ვამბობდით, რომ მოვდივართ და ამიტომაც მოვედით“! – განაცხადა **ზაზა პაპუაშვილმა.**

ტრიბუნიდან შეკრებილებს მიმართა პოლიტოლოგმა **ირაკლი გოგავამ** და აღნიშნა, რომ ხელისუფლება და ხალხი მოკავშირეები გახდნენ და იმედი გამოთქვა, რომ ეს მოკავშირეობა გაგრძელდება და ქვეყნისთვის სასიკეთო საკითხები გადაწყდება. როგორც გოგავამ აღნიშნა, დღეს, როგორც არასდროს, ქართველ ხალხს სიფრთხილე მართებს, რადგან გლობალური ომის პარტიას სურს საქართველოს ომში ჩაბმა.

„საფრთხე, რომელსაც ჩვენ გვთავაზობენ და რაშიც ჩვენი ჩართვა სურთ, არის იმის წინაპირობა, რომ საქართველომ დაკარგოს სახელმწიფოებრიობა, ის ყველაზე ძვირფასი რამ, რაც ქართველ ხალხს დღეს გააჩნია. საუკუნეების განმავლობაში თაობებს არ ღირსებიათ დამოუკიდებელ საქართველოში ცხოვრება, ჩვენ გვერგო ეს მედნიერება. ეს არის ყველაზე ძვირფასი რამ. ხელისუფლებამ დაგვიცვა ომისგან, უარი უთხრა ძალიან დიდ და პოტენციურად საშიშ ძალას ჩვენს ომში გადაშვებაზე. აქ, ახლა ჩვენ სიტუაციური მოკავშირეები ვართ – ხალხი და ხელისუფლება. როდესაც დგას ომისა და მშვიდობის საკითხი, ყველა სხვა პრობლემა და ყველა სხვა საკითხი მეორადია. აქ გვინდა ჩვენ ერთიანობა ერის, მერის, მხედრობის და მთავრობის. ვინაიდან მოკავშირეები გავხდით ხელისუფლება და ხალხი, იმედი მაქვს, რომ ეს მოკავშირეობა გაგრძელდება და ქვეყნისთვის სასიკეთო საკითხები გადაწყდება. ჩვენ 30 წელია ვავითარებთ ლიბერალურ კაპიტალიზმს, გვეხმარებიან უცხოეთიდან და მივიღეთ ის, რაც დღეს გვაქვს. როგორ ხდება, რომ ჩვენი მეგობრები არიან მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნები და ჩვენთან კვლავ არის უმუშევრობა, დაბალი ხელფასები, დაბალი პენსიები?!

გასაგებია, რომ ლიბერალურმა კაპიტალიზმმა არ გაამართლა და საჭიროა საქართველომ დაიწყოს საკუთარი სუვერენული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება. ის ე.წ. კონსენსუსი, რომელსაც უწოდებენ ვილი ამსონის თეორიებს, ჩვენ არ გამოგვადგა, ეს არ არის სწრაფი განვითარების გზა. ბოლო ორი წელიწადი, როდესაც ორნიშნა ზრდა იყო ქართული ეკონომიკის, ეს არის უპრეცედენტო. დღეს დადგა დრო, როდესაც ხმალი ქარქაშიდან უნდა ამოვიღოთ და დავიცვათ ღმერთი, ოჯახი და სამშობლო“, – დასძინა **ირაკლი გოგავამ.**

აქციას ესწრებოდნენ საკაშვილის რეჟიმის მიერ მოკლული ადამიანების ოჯახის წევრები. სპეციალურად სტრასბურგიდან ჩამოვიდა პროფესორი გურამ შარაძის შვილი, **რუსუდან შარაძე,** რომელმაც აქციაზე სიტყვით გამოსვლისას აღნიშნა, რომ გურამ შარაძე სწორედ იმისთვის დახვრიტეს, რისთვისაც დღეს იბრძვიან. მისი თქმით, „მკვლელების განდა ერთხელ და სამუდამოდ უნდა გასამართლდეს, როგორც მკვლელები“.

„ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ მამაჩემის დახვრეტიდან 16 წლის შემდეგ, ისევ ქუჩაში ვიქნებოდი, თქვენთან ერთად, ისევ იგივე მოთხოვნით, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ, ხელები არ უნდა ჩამოვუშვათ, რადგან არ გვაქვს უფლება, ჩვენი შვილები, შვილიშვილები ასე არ უნდა გაიზარდონ.

მათ უნდა ჰქონდეთ დრო, საშუალება, რომ განვითარდნენ, განათლება მიიღონ, წინ წავიდნენ და მოუარონ ამ ქვეყანას ისე, როგორც იმსახურებს და რაც ჩვენ მოლომდე ვერ გავაკეთეთ. ბოლოს, უმორჩილესად მინდა, გთხოვოთ, მომეხმარეთ, რომ სიმართლე ყველგან მივიტანოთ. მე თქვენ გარდა არავინ მყავს, მხოლოდ თქვენი, ქართველი ხალხის იმედი მაქვს“, – განაცხადა **რუსუდან შარაძემ.**

პოლიტიკური ტრიბუნა დაიკავა და აქციის მონაწილეებს მიმართა რეჟიმის კიდევ ერთმა მსხვერპლმა **გიორგი ზერეკიძემ,** რომელიც სააკაშვილის რეფორმირებულ ციხეში 14 წლის ასაკში მოხვდა.

„გახსოვთ, ალბათ, 14 წლის ახალგაზრდა ბიჭი, გიორგი ზერეკიძე, რომელსაც მთელი „ნაციონალების“ ბანდა და მათი ბელადი, მიშა სააკაშვილი როგორ დამიპირისპირდა, მაგრამ მე დღეს აქ არ მოვსულვარ ანგარიშების გასასწორებლად ან რევანშისთვის. მე აქ მოვედი, რადგან მიკვირს, რომ საზოგადოების რაღაც ნაწილში არის სურვილი, დააბრუნოს ის მოძალადე, კაცთმოძულე, ამაზრზენი რეჟიმი, რომელიც 9 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანას ატერორებდა, ანადგურებდა ოჯახებს, ახალგაზრდებს სიცოცხლის უფლებას უსპობდა.

დღეს მე ვხედავ საშიშროებას, რომ ისინი უცხო ქვეყნიდან თავიანთ პარტნიორებთან ერთად, დაბრუნდნენ და უნდათ ისევ ისე დაატერორონ საქართველო, როგორც ამას 9 წლის განმავლობაში აკეთებდნენ. ჩვენმა შვილებმა და ჩვენმა მომავალმა თაობამ არ უნდა გაიაროს ის, რაც მე და ჩემმა ოჯახმა გავიარეთ.

მეშვიდე გამომსვლელი ვარ და ძალიან სიმბოლურია, 7 წელი რის გამოც ვიჯექი ციხეში, მართლა სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. ამას სიტყვებით ნამდვილად ვერ გადმოვცემ, მაგრამ წლები, რაც მე გავიარე, დამერწმუნეთ, რომ ძალიან მტკივნეული არის. არ მინდა, განმეორდეს ეს და ჩვენმა მომავალმა თაობამ იგივე გაიაროს. სიმართლე არის ჩვენკენ, ღმერთი არის ჩვენკენ და გაუმარჯოს სუვერენულ საქართველოს“, – დასძინა **გიორგი ზერეკიძემ.**

თამთა ქარჩავა

შალვა პაპუაშვილი:

ეს ძალიან საშიში ტენდენციაა!

30 აპრილის აქციაზე ის ხალხი იყო გამოსული, რომელიც საკუთარ ქვეყანაზე, საკუთარ ეროვნულ ინტერესზე ფიქრობს, საქართველოს სიყვარულის გარდა, მგონი, არაფერზე იყო საუბარი, გამოდის, რომ საქართველოზე საუბარი ნიშნავს ანტიდასავლელობას და პრორუსულობას, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, შალვა პაპუაშვილმა რესპუბლიკის მოედანზე გამართულ აქციასთან დაკავშირებით განაცხადა.

მისი თქმით, როგორც კი ვინმე საუბრობს ეროვნულ ინტერესებზე, ოპოზიციის მხრიდან მიმდინარეობს იარლიყების მიწებება, თითქოს ეს არის ანტიდასავლური.

„ამით თავის ლოზუნგებს უარყოფენ, როცა ამბობენ, მე ვარ ქართველი და მაშასადამე ევროპელიო. ეს არის ის დამოკიდებულება, რომელიც ჩვენს ოპოზიციას და გარკვეულ აქტივისტებს სამოქალაქო საზოგადოებაში აქვთ. ვფიქრობ, პოლიტიკურად თუ აზრობრივად დასცილდნენ ყველაფერ ქართულს. მათთვის რაღაცნაირად უკვე გამაღიზიანებელია, როდესაც საუბარი არის საქართველოზე, ქართულ ეკლესიაზე, ტრადიციებზე.

ვფიქრობ, ძალიან საშიში ტენდენციაა და მნიშვნელოვანია, რომ ჩაუფიქრდნენ. ჩვენს ოპოზიციას უკვე დიდი ხანია, საკუთარი პოლიტიკური ლექსიკონიდან ამოღებული აქვს ეროვნული ინტერესი, როგორც ტერმინი. საუბრობენ რაღაც გლობალურ თემებზე, ლიდერებად აღიარებენ სხვა ქვეყნის ლიდერებს, დააკვირდით თუნდაც ოპოზიციის ან სამოქალაქო აქტივისტების ნაწილს, მათთვის ლიდერები და მაგალითები არიან სხვა ქვეყნებში, ხან სენატორები ხან კონგრესმენები, ხან სხვა ქვეყნის პრეზიდენტები და პრეზიდენტის მრჩევლები“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

რაც შეეხება საქართველოს საგარეო პოლიტიკას, პაპუაშვილის თქმით, ამაზე „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი პოზიცია დაადასტურა, როდესაც კონსტიტუციაში ჩაიწერა, რომ ნატოში გაწევრიანება არის ქვეყნის მიზანი.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლების დროს საქართველოს და ნატოს შორის ურთიერთობა არის ყველაზე მჭიდრო. საქართველო იყო ყველა საერთაშორისო მისიაში ერთ-ერთი მოწინავე, სხვათა შორის ბევრი ნატოს წევრი ქვეყნისგან განსხვავებით, რომლებიც დღეს გულში მჯიღს იცემენ და მილიტარისტულად საუბრობენ, ისინი არ იყვნენ ისე წარმოდგენილი იმ საერთაშორისო მისიებში, თუნდაც ავღანეთში, როგორც საქართველო.

რაც შეეხება საქართველოს დამოკიდებულებას სამხედრო ალიანსებთან და საერთაშორისო გლობალური მშვიდობის უზრუნველყოფის სტრუქტურებთან, ამასთან დაკავშირებით რაიმე კითხვის ნიშანი არ არსებობს. ერთადერთი რაც აცილებს საქართველოს ნატოში წევრობას, არის თავად ნატოს გადაწყვეტილება. „ქართული ოცნების“ მმართველობის პირობებში საქართველო ყველაზე მჭიდრო ურთიერთობაში არის ნატოსთან“, – განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

ახალი ხიდი მდინარე ჯუმზე

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდინეთში, მდინარე ჯუმზე სტიქიის შედეგად დანგრეული ხიდის ადგილას ახალი ხიდი კეთდება. ძველი ხიდი ამორტიზებული იყო და მოქალაქეების გადაადგილებას საფრთხეს უქმნიდა.

პროექტი სტიქიის სალიკვიდაციო ფანდიდან 867 540 ლარით ფინანსდება. დიდინეთში ახალი ხიდის მოწყობის სამუშაოები ზუგდიდის მერმა მამუკა წოწერიამ დაათვალიერა.

33-მილიონიანი პროექტი წყალტუბოში

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ინიციატივით დაწყებული სახელმწიფო პროგრამის „მშენებლობა განვადებით“ ფარგლებში, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია, ქალაქ წყალტუბოსა და სოფლების: გუმბრას, თერნალისა და გვიშტიბის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციის პროექტირება-მშენებლობას იწყებს.

შესაბამის ხელშეკრულებას ხელი წყალმომარაგების კომპანიის დირექტორის მოადგილემ, ნინო ნაროზაშვილმა და ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „მშენებელი 80“-ის დირექტორმა, ვალერი ბუცხრიკიძემ მოაწერეს. სამუშაოების ფარგლებში სამი სოფლის წყალმომარაგებისთვის

გათვალისწინებულია: წყალმომარაგების ახალი ქსელების, მაგისტრალური მილისა და სატუმბი სადგურის მოწყობა. დამატებით, რეაბილიტირდება არსებული რეზერვუარები. ქალაქ წყალტუბოში კი მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსებისთვის წყალმომარაგების შიდა და გარე გამანაწილებელი ქსელი მოეწყობა.

პროექტის შედეგად, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლების: გუმბრას, თერნალისა და გვიშტიბის მოსახლეობა 24-საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით შეძლებს სარგებლობას. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 33 მლნ ლარზე მეტი მოხმარდება.

ახალი გზით თიანეთიდან ნინიგორამდე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაკვეთით, თიანეთი-ახმეტა-ყვარელი-ნინიგორის საავტომობილო გზის 11.5 კმ-იანი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს, – ამის შესახებ ინფორმაციას საავტომობილო გზების დეპარტამენტი ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სარეაბილიტაციო გზა თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯუღაანიდან იწყება, გაივლის სოფელ სანიორეს მიმდებარე ტერიტორიას და მთავრდება სოფელ ნაფარეულთან. გზის მიმდებარედ არის საცხოვრებელი სახლები, საკარმიდამო ნაკვეთები, ღვინის საწარმოები, ბენზინგასამართი სადგურები, კომერციული ფართები და სასოფლო-სამეურნეო სავარგულები. შესაბამისად, ამ გზის გამართულად ფუნქციონირება ადგილობრივი მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. არსებული გზა ძლიერ დაზიანებული იყო და, გაზრდილი მოძრაობის ინტენსივობის პირობებში, აფერხებდა გადაადგილებას. პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 11 659 030 ლარია. სამუშაოების დასრულება მიმდინარე წელს იგეგმება.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების კვლევებისთვის უახლესი საველე ჰიდროგეოლოგიური აპარატურით აღიჭურვა, – ამის შესახებ ინფორმაციას გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, თანამედროვე აპარატურა მიწისქვეშა მტკნარ სასმელ წყლებში ძირითადი ფიზიკურ-ქიმიური პარამეტრებისა და აზოტოვანი ნაერთების შემცველობის საველე პირობებში განსაზღვრის საშუალებას იძლევა. აღჭურვილობის საშუალებით, ქვეყნის მასშტაბით ჭაბურღილების, საყოფაცხოვრებო ჭებისა და წყაროების მონიტორინგი ეტაპობრივად განხორციელდება.

სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტებს მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლების მიერ უახლესი აღჭურვილობის ფუნქციონირებისა და გამოყენების შესახებ სპეციალური ტრენინგები ჩაუტარდათ.

მეწარმეობის პრაქტიკული კურსი საჩხერეში

საჩხერეში, მეწარმეობის პრაქტიკული კურსი – „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ სოფლად მიზნესი“ გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, ტრენინგის მონაწილეებს პროექტი მუნიციპალიტეტის მერმა ლევან ივანაშვილმა და აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ, ნინო წილოსანმა წარუდგინეს.

სასწავლო კურსის მიზანია მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნის ამაღლება, სახელმწიფო პროექტების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მიზნესის წარმოების პრაქტიკული უნარების გაძლიერება. აღნიშნული კურსი წელს უკვე ჩატარდა მარტვილში, თეთრიწყაროში, ზესტაფონში, ფოთში, მესტიაში, ახალციხესა და ბორჯომში. პროექტი ხორციელდება პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტისა და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების თანამშრომლობით, სსიპ „აწარმოე საქართველოში“ და ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

განახლებული მობილური აპლიკაცია და ვიდეორგოლი „112“-ისგან

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრმა „112“-მა, გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისთან თანამშრომლობით, განახლებული მობილური აპლიკაცია და ვიდეორგოლი წარადგინა. ღონისძიებას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს სხვადასხვა დეპარტამენტის ხელმძღვანელი პირები, საერთაშორისო და პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლები.

მოწვეულ სტუმრებს მისასალმებელი სიტყვით მიმართეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრ „112“-

ის დირექტორმა გიორგი არსოშვილმა, შვედეთის ელჩმა საქართველოში ულრიკ ტიდესტრომმა და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა ლელა გაქრაძემ.

ღონისძიებაზე პრეზენტაციის სახით, დეტალურად იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია „112“-ის მობილურ აპლიკაციაში განხორციელებული ცვლილებების შესახებ. განახლების ფარგლებში, ჩანართში - „რჩევები“ დაემატა ინფორმაცია ადრეული/ბავშვობის ასაკში ქორწინების შესახებ: რა არის ადრეული ქორწინება; როგორ ხდება მისი სამართლებრივი რეგულირება და როგორ ისჯება სამართალდამრღვევი. „112“-ის აპლიკაცია უკვე ხელმისაწვდომია სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზეც.

გარდა ამისა, ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისთვის აპლიკაციიდან „112“-თან დაკავშირება უკვე ვიდეოზარის მეშვეობითაც გახდა შესაძლებელი. საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრში ამ გზით შესულ შეტყობინებებს ჟესტური ენის მცოდნე ოპერატორები მართავენ.

ღონისძიება „112“-ის და გაეროს მოსახლეობის ფონდის (UNFPA) საქართველოს ოფისის თანამშრომლობით, გაეროს ერთობლივი პროგრამის – „გენდერული თანასწორობისთვის“ – ფარგლებში, შვედეთის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით ჩატარდა.

ქარელში სეტყვის საწინააღმდეგო ბადეების მწარმოებელი ახალი საწარმო გაიხსნა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი ოთარ შამუგია, შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულ მიხეილ შაყულაშვილთან, ადგილობრივი ხელისუფლების და ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, ახალი საწარმოს – შპს „აგრობადის“ გახსნის ღონისძიებას დაესწრო.

საწარმო ქარელის რაიონის სოფელ რუისში მდებარეობს და სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებს აწარმოებს. საწარმოში 37 ადგილობრივი მუშაობს.

„ახალი საწარმო სახელმწიფოს და USAID-ის სოფლის მეურნეობის პროგრამის მხარდაჭერით შეიქმნა. ვფიქრობ, სეტყვისგან დამცავი ბადეების ადგილობრივი წარმოება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ფერმერების ხელმისაწვდომობას აღნიშნულ სისტემებზე. ჩვენი მიზანია, ფერმერები მაქსიმალურად იყვნენ დაცულები სეტყვით გამოწვეული ზარალისგან, რისთვისაც ვეხმარებით შესაბამისი სისტემების შესყიდვებში როგორც შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის, ასევე „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში. ამავდროულად, უკვე 2014 წლიდან ვახორციელებთ აგროდაზღვევის პროგრამას და მოვუწოდებთ ფერმერებს, ისარგებლონ სახელმწიფო პროგრამით.

შპს „აგრობადის“, ყოველწლიურად, 1 მილიონ 82 სეტყვის საწინააღმდეგო ბადის და 600,000 ბადე-ჩანთის დამზადებას გეგმავს. ბადე-ჩანთები ბოსტნეულის შეფუთვისა და ტრანსპორტირებისთვის გამოიყენება. ქართული წარმოების პროდუქციის შეძენას ფერმერები იმპორტირებულზე შეღავათიან ფასად შეძლებენ.

როგორც შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა, მიხეილ შაყულაშვილმა განაცხადა, შიდა ქართლის რეგიონში სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი წამყვანია და, შესაბამისად, სეტყვის საწინააღმდეგო ბადეებზე ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვანია. მსგავსი პროექტები, სახელმწიფოს მხრიდან, როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივ დონეზე, ყოველთვის მხარდაჭერილი იქნება.

პაატა კოღუაშვილი

ჩვენ შეგვიძლია მეტი ქართული ხარისხიანი პური ვაწარმოოთ!



სოსო არჩვაძე

მოსახლეობის სურსათით უზრუნველყოფის პრობლემა სულ უფრო მეტად ექცევა მსოფლიო საზოგადოებრიობის, მთავრობებისა და მედია-საშუალებების ცენტრში. ეს განპირობებულია როგორც მოსახლეობის ზრდით, ისე სულ უფრო გახშირებული ბუნებრივი კატაკლიზმებითა და კორონავირუსის პანდემიით. ზემოთქმულს დაემატა ომი, რომელიც დაიწყო რუსეთმა უკრაინის წინააღმდეგ. ორივე ქვეყანა მსოფლიო ხორბლის 25% მწარმოებელი და ექსპორტიორიაა. ეს ფაქტორი სერიოზულ დაღს დაასვამს ხორბლის სტაბილურ მოსავალს და უმწვავეს სასურსათო კრიზისს გამოიწვევს მრავალ ქვეყანაში.

FAO-სა და მსოფლიო ბანკის პროგნოზით, 2022-25 წლებში სურსათზე ფასები სულ მცირე 35%-ით გაიზრდება, ხოლო მოშიმშილეთა რაოდენობა მსოფლიოში 1.5 მილიარდ ადამიანს გადააჭარბებს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში მსოფლიოს ბირჟებზე ხორბლის ფასი მკვეთრად მზარდი ტენდენციით ხასიათდებოდა (240$-დან 450$-მდე).

ხორბლის ტრადიციულად ექსპორტიორმა ქვეყნებმა დაიწყეს საკუთარი სასურსათო რესურსების გაფრთხილება, მარაგების ზრდა და უარს არც დამატებითი საექსპორტო ბარიერების შემოღებაზე ამბობენ. ამასთან, ბევრმა ქვეყანამ – როგორც ექსპორტიორმა, ისე იმპორტდამოკიდებულმა (რუსეთი, უკრაინა, ყაზახეთი, რუმინეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი და სხვ.) შემოიღო სუბსიდირების პროგრამები, რამდენიმემ კი სურსათზე დამატებული ღირებულების გადასახადიც კი შეაჩერა მოსახლეობის ფართო ფენებისათვის ხელმისაწვდომი ფასების შენარჩუნების მიზნით.

რა ხდება საქართველოში ამ მიმართულებით? ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება, სრულიად არადამაკმაყოფილებელია! მხოლოდ სასურსათო დანიშნულებით გვჭირდება მაქსიმუმ 600 000 ტონა ხორბალი და ვაწარმოებთ მხოლოდ 100-120 ათას ტონას. შედარებისათვის: ახალ ზელანდიას 5-ჯერ მეტი მოსავალი მოჰყავს 1 ჰექტარზე (12,0 ტონა). მინიმალური რენტაბელობის მისაღწევად ჩვენ 2023-2025 წლებში გვჭირდება საშუალო საჰექტარო მოსავლიანობის სულ ცოტა 3.0 ტონამდე გაზრდა (70-80 ათას ჰექტარზე). უნდა მომზადდეს მაღალრეპროდუქციული მეთესლეობის ბაზა და გატარდეს თანამედროვე აგროტექნოლოგიური ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს მოსავლიანობის ზრდას. პირველი რიგის ამოცანად უნდა დავისახოთ, სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია და 2027-2028 წლისათვის 100-110 ათას ჰა-ზე ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საჭირო ხორბლის 60-65 პროცენტის წარმოება.

სახელმწიფო მდგრადობისთვის სტრატეგიულ დარგებს მუდმივი ყურადღება და არსებითი დახმარება ესაჭიროება. პრიორიტეტი უნდა გახდეს გრძელვადიან პერსპექტივაზე გათვლილი პროექტები.

საქართველოში მოქმედებს ფქვილის და პურის ტექნიკური რეგლამენტი. სამწუხაროდ, იგი არ სრულდება. მაგალითად, ფქვილის სინესტის მაჩვენებელი თითქმის ყოველთვის აღემატება სტანდარტს, ხოლო წონა, პირიქით – დაბალია, რაც პურის მრეწველობისათვის არა მარტო დისკრიმინაციული, არამედ დამაზიანებელიცაა, – 14-15%-ის ზევით ფქვილი შედის რეაქციაში სინესტესთან და პურის მოცულობაზე აისახება.

ფქვილისა და პურის ტექნიკური რეგლამენტის დაცვა გამოიწვევს, ერთ მხრივ, მაღალი ხარისხის ფქვილისა და პურის წარმოებას, ხოლო მეორე მხრივ – მათზე ფასების ზრდას. საქართველოში 2021 წლის 1 ივლისიდან შეწყდა ფქვილის სუბსიდირების პროგრამა, რამაც პურზე ფასების ზრდა გამოიწვია. პურის საცალო ფასი მარკეტებში 70-90 თეთრით გაიზარდა და ეს პროცესი ბოლო დრომდე გრძელდება. სახელმწიფოს ამოცანა უნდა იყოს არა დაბალხარისხიანი ფქვილისა და პურის წარმოების სუბსიდირება დაბალი ფასების შენარჩუნებისთვის, არამედ სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისთვის კომპენსაციის (პურის ბარათის სახით, რაც სახელმწიფოს ყოველთვიურად არაუმეტეს 4 მლნ. ლარი დაუჯდება) გაცემა, რათა მათ შეძლონ მაღალხარისხიანი პურ-პროდუქტების შეძენა, და ამით საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა და შემოსავლების გაზრდა.



თუ სახელმწიფოს მიზანია პურ-პროდუქტებზე დაბალი ფასების შენარჩუნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია გავიზიაროთ ეკონომიკურად ძლიერი დასავლეთის ქვეყნების გამოცდილება, პურზე დღგ-ს ტარიფის 7%-მდე შემცირებისა ან საერთოდ განულებისა.

ამით ასევე მოწესრიგდება პურის ვაჭრობის საკითხებიც, როგორიცაა გაუგებარი ქეშბექები, რეტრობონუსები, სავაჭრო დათმობები და აქტივობები (ამ ფასდანამატებმა პურის ღირებულება 50-55 პროცენტით გაზარდა, ეს იმ დროს, როდესაც განვითარებულ ქვეყნებში ფასდანამატი არ აღემატება 3-5 პროცენტს, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი ნორმატიული აქტებით) და გაყიდული პურის უკან დაბრუნების სისტემა.

სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა განახორციელოს მარცვლეულის მწარმოებელთა მხარდამჭერი, ფინანსურად, ორგანიზაციულად, ტექნოლოგიურად უზრუნველყოფილი ორეტაპიანი (3-5 წლიანი) პროგრამა – „მარცვალი“ (100-110 ათას ჰექტარზე, 3,5-4 ტჰჰა საშუალო მოსავლიანობით, პირველ ეტაპზე 350 ათასი ტონა ხორბლის წარმოება, ხოლო მეორე ეტაპზე – 400-420 ათასი ტონა ხორბლის წარმოება), რომელშიც ასევე გათვალისწინებული იქნება საკუთარი ელიტური თესლის წარმოების ღონისძიებები.

მარცვლეულის, როგორც სტრატეგიული მნიშვნელობის სურსათის წარმოება, პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც მოკლე და საშუალო, ასევე გრძელვადიან პერსპექტივაში. ამას მოითხოვს მსოფლიო სურსათის წარმოებაში შექმნილი ობიექტური რეალობა, საქართველოს საერთო ეკონომიკური ინტერესები და სურსათით უზრუნველყოფის ამოცანა.

ქვეყანა, რომელსაც გააჩნია ხელსაყრელი ბიოგეოკლიმატური პირობები მარცვლეულის წარმოების გადიდებისთვის, მისი მოყვანის უნარ-ჩვევები და ტრადიციები, მარცვლეულის გადამმუშავებელი საწარმოო სიმძლავრეები და წარმოებული პროდუქციის გასაღების ადგილობრივი ბაზარი, არ უნდა იყოს ამსოლუტურად დამოკიდებული სხვა სახელმწიფოებიდან მარცვლეულის იმპორტზე... სადღეისოდ, საქართველოში რუსეთიდან ხორბალი აღარ შემოდის, და ის ჩაანაცვლა ამ ქვეყნიდან ფქვილის იმპორტმა. რუსეთის ფედერაციის სატარიფო პოლიტიკის გამო წარმოიშვა ე.წ. „ფასების საექსპორტო მაკრატელი“ გაძვირებულ ხორბალსა და შედარებით იაფ ფქვილს შორის, რამაც პრობლემები შეუქმნა საქართველოში ხორბლის მწარმოებლებს. – მათ 2022 წელს რეკორდული მოსავალი მოიწიეს (157.4 ათასი ტონა 54 ათას ჰა-ზე), მაგრამ წისქვილკომბინატებმა ზემოხსენებული იაფი, ფაქტობრივად დემპინგური რუსული ფქვილის იმპორტის გამო შეწყვიტეს ადგილობრივი მწარმოებლებისგან ხორბლის შესყიდვა, რის გამოც ადგილობრივი მწარმოებლების არარეალიზებული ხორბლის მოცულობამ 30-35 ათას ტონას მიაღწია. შედეგად – ხორბლის ქართველი მწარმოებლები ორგვარ ზარალს განიცდიან – მათ, ერთი მხრივ, უხანგრძლივდებათ საწყობების იჯარის დრო, შესაბამისად უწევთ დამატებითი ხარჯების გაწევა, მეორეც, ეს საწყობები არაა გათვალისწინებული პროდუქციის გრძელვადიანი შენახვისათვის, იქ ხორბალი კარგავს სამომხმარებლო კონდიციას, მათ შორის მღრნელებისაგან.

თუ წისქვილკომბინატები არ მიიღებენ ადგილობრივ ხორბალს, ეს კატასტროფული იქნებოდა არა მარტო ადგილობრივი მწარმოებლებისთვის, არამედ მთელი დარგისათვის, სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა ქვეყნის სასურსათო და ზოგადად, ეროვნულ უსაფრთხოებას.

ამ პრობლემის გადაწყვეტის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად ქვეყანაში არსებული აგრარული პოლიტიკის შეცვლა და მისი მსოფლიო გლობალურ გამოწვევებთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა იქნეს მიჩნეული.

დაუშვებელია, ისეთი ბუნებრივი პიროგების მქონე ქვეყანა – საქართველო, რომლის გეოგეოკლიმატური პოტენციალი, სულ მცირე, 10 მილიონი ადამიანის გამოკვებაა, ხელგაწვდილ მდგომარეობაში იმყოფებოდეს.

ეს აუცილებელია არსებული რეალობის და გეოპოლიტიკური მდგომარეობის გათვალისწინებით.

პრობლემის დაძლევა მთავრობის ძალისხმევითა და პოლიტიკური ნებით შესაძლებელი.

სახელმწიფო ვალდებულია, აწარმოოს ხორბალი, არანაკლებ მისი მოთხოვნილების 60 %-სა, დაიცვას აგრომეურნე, პურის წარმოებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებული წვრილი და საშუალო მიზნები და მომხმარებლების ინტერესები.

ეს ხელეწიფება ქართულ სახელმწიფოს, მის ხელისუფლებას!

ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტს სახელმწიფო დაფარავს

საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც „შეღავათიანი აგროკრედიტის“ პროექტის ფარგლებში ქვეკომპონენტი ამოქმედდა. ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის განვითარების სააგენტო განახორციელებს.

ქვეკომპონენტის ამოქმედება ხელს შეუწყობს ერთწლოვან სასოფლო-სამეურნეო კულტურებში თვითუზრუნველყოფის მაჩვენებლის ზრდას. მათ შორის, მარცვლეულისა და იონჯის პირველადი წარმოების ხელშეწყობას.

„სოფლის განვითარების სააგენტო მოახდენს ქვეკომპონენტის ფარგლებში გაცემული სესხის არა უმეტეს 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს სესხის მიზნობრივად ხარჯვას. ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრა 10 000 ლარიდან 100 000 ლარის ჩათვლით. ქვეკომპონენტით სარგებლობა შეუძლიათ საქართველოს მოქალაქე ფიზიკურ პირებს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ ინდივიდუალურ მეწარმეებსა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს (გარდა სახელმწიფო/მუნიციპალური საწარმოებისა).

აგროკრედიტის გაცემა დაიწყება განკარგულების ამოქმედების შემდეგ; საფინანსო ინსტიტუტებს შეეძლებათ, სესხები გასცენ 2023 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით. „ერთწლოვანი კულტურების დაფინანსებისთვის“ ქვეკომპონენტი პროექტს 2020 წლიდან დაემატა“.

დღეს აუცილებელია გარემოსდაცვითი განათლება

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრმა ქ.თბილისის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების 300-მდე აღმზრდელი და მეთოდისტი განახლებული პროგრამით – „სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლება“ გადაამზადა. პროგრამა მიზნად ისახავს ბაღის აღმზრდელების/მეთოდისტებისა და ადრეული ასაკის ბავშვების ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი განათლების მიმართულებით.

სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების პროგრამის განახლება სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების პროგრამის კვლევის შედეგების საფუძველზე განხორციელდა. განახლებული პროგრამის მიხედვით, ბიომრავალფეროვნების, წყლის რესურსებისა და ნარჩენების მართვის თემებს კლიმატის ცვლილების საკითხები დაემატა. სახელმძღვანელო მოიცავს პრაქტიკის მაგალითებს.

დედაქალაქის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლების გადამზადების შემდეგ, ტრენინგები ქვემო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების წარმომადგენლებს ჩაუტარდებათ. სკოლამდელი გარემოსდაცვითი განათლების პროგრამის განახლება და აღმზრდელების/მეთოდისტების გადამზადება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით, პროექტის – „მმართველობის რეფორმის ფონდის (ᲕᲦᲐ)“ ფარგლებში განხორციელდა.

საპილოტე გამოცდები ელექტრონული პროგრამით

საქართველოს 770-მდე სკოლაში, 14 000 მოსწავლე საპილოტე გამოცდებს აბარებს. ამ ეტაპზე პროექტში მე-4 და მე-6 კლასელები მონაწილეობენ.

ტესტირება მთლიანად ელექტრონული პროგრამით ტარდება: მოსწავლეები ელექტრონულად ასრულებენ ტესტურ დავალებებს, შეფასების შედეგებს კი ასევე ელექტრონულად იღებენ.

მომავალში პროექტი სკოლას შესაძლებლობას მისცემს, დააკვირდეს სწავლის ტენდენციებს როგორც ცალკეული კლასის, ასევე ზოგადად, სკოლის დონეზე.



შესანიშნავი მეცნიერი, პედაგოგი, დიპლომატი და, უბრალოდ, ადამიანი

აკადემიკოსი რევაზ გაჩეჩილაძე 80

რევაზ გაჩეჩილაძე დაიბადა 1943 წელს ცნობილი მეცნიერისა და ინგლისური პოეზიის მთარგმნელის გივი გაჩეჩილაძის ოჯახში. მამამისმა ქართულ ენაზე პირველმა თარგმნა შექსპირის სონეტების სრული კრებული, შექსპირის პიესები, აგრეთვე ბაირონის, შელის, უოლტერ სკოტის და სხვათა პოეზია. მანვე პირველად შეიმუშავა მხატვრული თარგმანის თეორია და შექმნა შესაბამისი სახელმძღვანელო. გივი გაჩეჩილაძის შვილები – რეზო და ზაზა ბავშვობიდანვე ეზიარნენ ევროპულ კულტურასა და მაღალი დონის ლიტერატურას.

რევაზ გაჩეჩილაძემ წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის ისტორიული განყოფილება (1965) და იმავე უნივერსიტეტის ასპირანტურა საზღვარგარეთის ქვეყნების პოლიტიკური და ეკონომიკური გეოგრაფიის სპეციალობით (1968). გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ლონდონის უნივერსიტეტის კინგს კოლეჯში (1973-1974). 1968 წლიდან (ინტერვალებით, დიპლომატურ სამსახურში ყოფნის გამო) იგი მუშაობს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ეკონომიკური გეოგრაფიის კათედრაზე (ამჟამად – საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებაზე). 1993-1998 წლებში იგი ამ კათედრის გამგე იყო.

რევაზ გაჩეჩილაძე გეოგრაფიულ მეცნიერებათა დოქტორია 1990 წლიდან. იმ-დროინდელმა საკავშირო „უმაღლესმა სა-ატესტაციო კომისიამ“ მისი დისერტაცია „რეს-პუბლიკის სოციალური გეოგრაფია (საქარ-თველოს სსრ მაგალითზე)“ იმ წელს იმ-ავე გრიფით დაცულ დისერტაციათა შო-რის საუკეთესოდ აღიარა. ის არის საქარ-თველოში სოციალურ-გეოგრაფიული და პოლიტიკურ-გეოგრაფიული კვლევების პირ-ველწამომწყები.

რევაზ გაჩეჩილაძე პროფესორია 1991 წლიდან. სხვადასხვა დროს კითხულობდა ლექციებს საზღვარგარეთაც, უპირველესად, ოქსფორდის უნივერსიტეტში (ინგლისი), რო-გორც ოფიციალურად მიწვეული პროფესორი, აგრეთვე აშშ-ში, პოლონეთში, საფრანგეთში, ისრაელში, სლოვაკეთში და სხვ. მისი ხელ-მძღვანელობით ტარდებოდა ერთობლივი ქართულ-ბრიტანული, ქართულ-პოლონური, ქართულ-ისრაელური და სხვა სამეცნიერო-გეოგრაფიული სემინარები. სტუდენტები მის ლექციებს ყოველთვის ხალისით ესწრებოდნენ და დღემდე ესწრებიან, რადგან იციან, რომ ბევრი სიახლის გაგებას შეძლებენ.

2009-2017 წლებში რევაზ გაჩეჩილაძე იყო საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების პრეზიდენტი. 2009 წელს ის აირჩიეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2018 წელს – წევრად. 1999 წლიდან ის არჩეულია სამეფო გეოგრაფიული საზოგადოების (ლონდონი) საპატიო უცხოელ წევრად. 2001 წელს მას მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში მონოგრაფიისათვის „The New Georgia: Space, Society, Politics“ (UCL Press, London, 1995) ხოლო 2009 წელს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის აკადემიური პრემია მონოგრაფიისათვის „ახლო აღმოსავლეთი: სივრცე, ხალხი და პოლიტიკა“ (ბაკურ სულაკაურის გამ-ბა, 2008).

2014 წლიდან ის არის თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტთან არსებული საქართველოს სამეზობლოს კვლევის ინსტიტუტის დირექტორი, ხოლო 2020 წლიდან საერთაშორისო აღიარების მქონე სამეცნიერო გამოცემის Georgian Geographical Journal-ის მთავარი რედაქტორი.

რევაზ გაჩეჩილაძეს გამოცემული აქვს 200-მდე ნაშრომი საზოგადოებრივი გეოგრაფიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, დიპლომატიის ისტორიის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის სფეროებში. აღსანიშნავია მისი მონოგრაფიები ახლო აღმოსავლეთისა და დიდი ბრიტანეთის შესახებ. მისი ინგლისურენოვანი წიგნი „ახალი საქართველო: სივრცე, საზოგადოება, პოლიტიკა“ 1995 წელს ერთდროულად დაიბეჭდა დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში და დღემდე გამოიყენება უცხოეთის უნივერსიტეტებში, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ტექსტი საქართველოს გეოგრაფიის, ისტორიისა და დემოგრაფიის შესახებ. 2008-2011 წლებში ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის მიერ გამოქვეყნებულ მის ორტომეულს – „ჩემი მეოცე საუკუნე: წინა საუკუნის საქართველო მსოფლიო ისტორიისა და გეოპოლიტიკის კონტექსტში“ – დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა. 2013 (განმეორებით, 2017) წელს გამოცემული მონოგრაფია „საქართველო მსოფლიო კონტექსტში: მე-20 და 21-ე საუკუნეების პოლიტიკური ცხოვრების ძირითადი მომენტები“ ითარგმნა გერმანულ ენაზე, დაიბეჭდა ავსტრიაში „ვიზერ ფერლაგის“ მიერ და დიდი წარმატებით იყო წარდგენილი 2018 წლის ლაიფციგისა და ფრანკფურტის წიგნის ბაზრობებზე.

სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის გარდა რევაზ გაჩეჩილაძემ სამსახური გაუწია სამშობლოს თავისი დიპლომატიური საქმიანობითაც. 1998-2020 წლებში იგი დიპლომატიურ სამსახურში იყო, თუმცა მაშინაც არ წყვეტდა სამეცნიერო მუშაობას. ის მუშაობდა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ისრაელის სახელმწიფოში, სომხეთის რესპუბლიკაში, დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოსა და სლოვაკეთში. ქართული დიპლომატიური სამსახურის განვითარებასა და გაძლიერებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში დიპლომატიური მისიის განხორციელებისა და საქართველოს ინტერესების გატარებისთვის, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში შეტანილი მრავალწლიანი აკადემიური ღვაწლისთვის 2021 წელს მას მიენიჭა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სულხან-საბა ორბელიანის მედალი.

თავის 80 წლისთავს რევაზ გაჩეჩილაძე ხვდება სრული სამეცნიერო და შემოქმედებითი აქტივობით. სულაკაურის გამომცემლობამ დაბეჭდა მისი ახალი მონოგრაფია „საქართველო რეგიონულ კონტექსტში“, სადაც საქართველოს ისტორიული გეოპოლიტიკისა და ამჟამინდელი პოლიტიკური გეოგრაფიის გარდა გაანალიზებულია ოთხი უშუალო მეზობლის – რუსეთის, თურქეთის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ძირითადი პოლიტიკური პრობლემები და მათი ურთიერთობა საქართველოსთან. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დასაბეჭდად მომზადდა რევაზ გაჩეჩილაძის რჩეული სტატიების სამენოვანი კრებულიც.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

მალე გვექნება ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური გამოცემა

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად შექმნილი სარედაქციო საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართა.

თსუ რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ზაზა აბაშიძემ აკადემიური გამოცემისთვის ჩატარებული სამუშაო შეაჯამეს.

„ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებული პირველად გამოიცემა, რაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იქნება ჰუმანიტარული მეცნიერების და ზოგადად, ქართული კულტურისა და მეცნიერების ისტორიაში. საარქივო მასალის სრულყოფილი შესწავლის საფუძველზე, კრებულში შევა როგორც აქამდე გამოუქვეყნებელი თხზულებები და მეცნიერის ეპისტოლური მემკვიდრეობა, ასევე მოხდება გამოცემული წიგნების დიგიტალიზაცია და შემდგომ დედანთან შედარება“, – აცხადებენ თსუ-ში.

ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა სრული აკადემიური კრებულის მოსამზადებლად შექმნილია სამუშაო ჯგუფი – ტექსტოლოგიური კომისია, რომელიც დაკომპლექტებულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომლებით. სამუშაო ჯგუფში ჩართულნი არიან ფილოლოგები, ისტორიკოსები, გეოგრაფები.

კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის და თსუ მუზეუმისა და ბიბლიოთეკის საცავებში დაცულია ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო და ეპისტოლური მემკვიდრეობის უნიკალური ფონდები, რომელთა დიდი ნაწილი გამოუქვეყნებელია. ამდენად, მათი გამოცემა მნიშვნელოვანია, რათა მეცნიერის ნაშრომები გახდეს ცნობილი ფართო აუდიტორიისათვის.

გამოცემა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს შორის გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე მზადდება.

ქართველ მეცნიერ-გეოლოგთა თაობის შემქმნელი, პეტრომინერალოგიის ფუძემდებელი



აკადემიკოსი დავით შენგელია 90

გამოჩენილ ქართველ მეცნიერს, აკადემიკოს დავით შენგელიას დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. დავით შენგელია გეოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგის პეტროლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენელი და პეტრომინერალოგიური მიმართულების ერთ-ერთი ფუძემდებელია. მისი მეცნიერული ინტერესების სფერო უაღრესად ფართოა: გრანიტწარმოშობის პრობლემა, მეტამორფიტებისა და გრანიტოიდების ფორმაციული ანალიზი, პეტროლოგიურ-მინერალოგიური კვლევა, მინერალოგიური თერმობარომეტრია, ტექტონიკის როლი რეგიონული მეტამორფიზმისა და მაგმური ქანების ფორმირების პროცესში, მათი წარმოშობის გეოდინამიკური პირობები და სხვ.

დ. შენგელიამ შემოქმედებითად განავითარა და მნიშვნელოვნად გაამდიდრა მეცნიერული წარმოდგენები გრანიტწარმოშობისა და მეტამორფული ქანების გეოდინამიკური და ფიზიკურ-ქიმიური პროცესების შესახებ და საერთაშორისო მნიშვნელობის წვლილი შეიტანა პეტროლოგიური მეცნიერების განვითარებაში. მან პირველმა დაადგინა მეტამორფული წარმოშობის ზონალური პლაგიოკლაზები და გაშიფრა მათი გენეზისის საკითხები. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, მსოფლიო ლიტერატურაში საყოველთაოდ იყო მიღებული შეხედულება ზონალური პლაგიოკლაზების მხოლოდ მაგმის კრისტალიზაციის შედეგად წარმოშობის შესახებ.

მისი ხელმძღვანელობითა და თანაავტორობით, პირველადაა დამუშავებული გრაფიტული გეოთერმომეტრი, რაც თანამედროვე პეტროლოგიის მნიშვნელოვან მიღწევას წარმოადგენს. არსებულ გეოთერმომეტრებს შორის, გრაფიტული თერმომეტრი ერთადერთია, რომლის საშუალებითაც დიაფტორიზებული ქანების მაქსიმალური ტემპერატურის განსაზღვრაა შესაძლებელი.

დ. შენგელიამ პირველმა გააანალიზა შეუთავსებელი მინერალების – თეთრი ქარსის და რქატყუარას წონასწორობა. მან, პირველად მსოფლიო ლიტერატურაში, აღწერა შავი ფერის პორფირობლასტური კალიუმის მინდვრის შპატი და გაშიფრა მისი წარმოშობის პირობები.

გეოლოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ ცნობილი გრანიტოიდების I, S და A გენეტური ტიპების გარდა, მან გამოყო გრანიტოიდების ორი ახალი გენეტურ-გეოდინამიკური ტიპი: U (Unloading) ტიპი, განპირობებული ტექტონიკური განშრევების დროს მიწის ქერქის განტვირთვით და T (Thickening) ტიპი, რომელიც უკავშირდება მსხვილი შარიაჟული გადაადგილების დროს მიწის ქერქის გასქელებას. მოგვიანებით, ე. გამყრელიძესთან ერთად, მან დაადგინა კავკასიის ფარგლებში აღნიშნული ტიპების ფართო გავრცელება.

მნიშვნელოვანია დ. შენგელიას წვლილი კავკასიის კრისტალური სუბსტრატის შესწავლის საქმეში. მან კავკასიაში პირველმა დაამკვიდრა ქანების მინერალოგიური კვლევები რიგი პეტროლოგიური საკითხის გადასაწყვეტად; შეისწავლა ცვლადი შედგენილობის პარაგენეტული მინერალების წონასწორობა და მინერალოგიური პარაგენეზისების ფიზიკურ-ქიმიური პირობები გრანიტოიდულ და მეტამორფული ქანებში; ჩამოაყალიბა გრანიტოიდების სხვადასხვა გენეტური ტიპის განმასხვავებელი დიაგნოსტიკური ნიშნები; შეისწავლა დაბალი და ზომიერი წნევის რეგიონული მეტამორფიზმის ზონალობა და დაასაბუთა მეტამორფული ზონების ფორმირების ფიზიკურ-ქიმიური და თერმოდინამიკური პირობები. დ. შენგელიამ პირველად გამოყო და დაასაბუთა კავკასიის ფარგლებში რეგიონული მეტამორფიზმის ყველაზე უფრო მაღალტემპერატურული საფეხურის – გრანულიტური ფაციესის ქანები, რამაც მნიშვნელოვნად შეცვალა არსებული წარმოდგენები კავკასიის კრისტალური სუბსტრატის აგებულების და ჩამოყალიბების შესახებ. მან პირველად თანაავტორებთან ერთად მინერალების მიკროზონდული ანალიზის საფუძველზე, განახორციელა კავკასიის ამგები ყველა ტერეინის ალპურამდელი წარმონაქმნის თერმობარომეტრული კვლევა. ჯერ კიდევ სამოცდაათიან წლებში, ახალი გეოლოგიური თეორიის – ფილების ტექტონიკის პოზიციიდან, გააანალიზა მაგმატიზმის და რეგიონული მეტამორფიზმის მიკური პირობები.

დ. შენგელიას ხელმძღვანელობით და მონაწილეობით, შესრულდა კავკასიონის კრისტალინიკუმის მასშტაბური შესწავლა. მიღებული შედეგები ასახულია 1991 წელს მოსკოვში გამომცემლობა „ნაუკა“-ს მიერ დასტამბულ მონოგრაფიაში – „კავკასიონის მეტამორფული კომპლექსების პერტროლოგია“. მას, როგორც მონოგრაფიის ერთ-ერთ ავტორს, ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის პრემია მიენიჭა.

დ. შენგელიამ, თანაავტორებთან ერთად, დაადგინა მრავალი ალპურამდელი ტექტონიკური ზეწარი კავკასიის ყველა ტერეინზე: კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე – აწგარის ტექტონიკური სოლი, კავკასიონის წინა ქედის სტრუქტურულ ზონაში – აწგარის და ჯენტუს ხუთი ტექტონიკური ფირფიტა, კავკასიონის იალბუზის სტრუქტურული ქვეზონის ფარგლებში – მაკერის ტექტონიკური ზეწარი, რომელიც წარმოდგენილია მრავალი ტექტონიკური ფირფიტით, კავკასიონის საუღელტეხილო ქვეზონაში – ლაშტრაკის, აჯარკის და დამხურცის ტექტონიკური ზეწრები; ძირულის მასივში – დედამიწის ქერქის სიღრმული ტექტონიკური განშრევება; ლოქის მასივში სხვადასხვა შედგენილობის ხუთი ტექტონიკური ფირფიტა; მისხანის მასივში რიგი ტექტონიკური ზეწარი.

დ. შენგელიამ, თანაავტორებთან ერთად, კავკასიონის მთავარი ქედის ზონაში, მეტამორფულ კომპლექსში გამოყო ვერცხლის ტბის და ლადევალის წყებები, ასევე, თანაავტორებთან ერთად, ლოქის კრისტალური მასივის ფარგლებში პირველად დაადგინა და დეტალურად შეისწავლა ალპურამდელი მეტაოფილიტური კომპლექსი.

2005 წელს მოსკოვში გამომცემლობამ „ნაუჩნი მირ“ გამოსცა დ. შენგელიას და ე. გამყრელიძის მონოგრაფია „კავკასიის კამბრიულამდელ-პალეოზოური მეტამორფიზმი, გრანიტული მაგმატიზმი და გეოდინამიკა“, რომელმაც მნიშვნელოვანად შეცვალა არსებული წარმოდგენები კავკასიის კრისტალური ფუნდამენტის ამგები ქანების ასაკის, ურთიერთდამოკიდებულების, რეგიონული მეტამორფიზმის, მაგმატიზმისა და ფორმირების გეოდინამიკური პირობების შესახებ. ნაშრომმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვა. კავკასიის გეოლოგიის საუკეთესო მკვლევარი, მსოფლიოში ცნობილი მეცნიერი, ამავე მონოგრაფიის რედაქტორი, აკადემიკოსი ვ. ხაინი აღნიშნავს, რომ ამ მონოგრაფიის გამოქვეყნება უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო კავკასიის გეოლოგიური შესწავლის ისტორიაში. მონოგრაფიის ავტორებს, 2007 წელს ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის პრემია მიენიჭათ.

დ. შენგელია გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან დაწყებული დღემდე, იკვლევს კავკასიის კამბრიულამდელ-პალეოზოური რეგიონული მეტამორფიზმის, მაგმატიზმის და გეოდინამიკის საკითხებს ფილების ტექტონიკის შუქზე. მიღებულ შედეგებს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს კავკასიის ალპურამდელი კომპლექსების შესწავლის ფუნდამენტურ საკითხებში. კერძოდ, საყოველთაოდ დამკვიდრებულ წარმოდგენისგან განსხვავებით, რომლის თანახმად ალპურამდელი წარმონაქმნების რეგიონული მეტამორფიზმი მონოციკლური ხასიათისა და, გრანიტწარმოშობასთან ერთად, ვარისკულ მოვლენად ითვლებოდა, ახალი გეოლოგიური მონაცემების საფუძველზე, მან დაადგინა აღნიშნული ენდოგენური პროცესების პოლიციკლური ხასიათი. მან დაასაბუთა მოსაზრება რეგიონული მეტამორფიზმის და გრანიტწარმოშობის გრენვილური, ბაიკალური, გვიანბაიკალური, ბრეტონული და გვიანვარისკული გამოვლინების შესახებ, რაც მოგვიანებით, დადასტურდა კიდეც თანამედროვე იზოტოპურ-გეოქრონოლოგიური მონაცემებით. დ. შენგელიამ და ე. გამყრელიძემ, პირველად კავკასიის რეგიონისთვის, მისი შემადგენელი ცალკეული ტერეინის შემთხვევაში, განიხილეს სიღრმული გეოლოგიური და ენდოგენური პროცესების სითბოს წყაროს პრობლემა. მათ გამოთქვეს მოსაზრება იმის შესახებ, რომ მთავარ სუბდუქციურ სითბოსთან ერთად, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ასევე ფლუიდური ნაკადების მიერ გამოყოფილი სითბო და სიალურ ქერქში გამოყოფილი რადიოგენური სითბო და სითბური ენერგია, რომელსაც გამოყოფს სუბდუქციურ ზონაში გენერირებული გაზალტური მაგმა. ავტორები ასაბუთებენ დისიპატიური სითბოს როლს მსხვილი ტექტონიკური ზეწრების ფარგლებში. მათ დაადგინეს აგრეთვე, სუდეტური ფაზის ბოლო სტადიაზე, მიწის ქერქის ღრმად დაძირული ქანების განსაკუთრებით სწრაფი ექსჰუმაცია, რაც განპირობებული იყო იზოსტაზიის პროცესების ჯამური გამოვლინებით, მიწის ქერქის შეგუბებითია და ინტენსიური ეროზიით.

ცნობილია დ. შენგელიას დამსახურება სამეცნიერო კადრების მომზადების საქმეში. მას ყველაზე მეტი მოწაფე ჰყავს აღზრდილი ქართული გეოლოგიისთვის. მან შექმნა მეცნიერთა მთელი თაობა, რომელთა შორის ზოგიერთი დღეს ცნობილი მეცნიერია.

დ. შენგელია დღემდე აქტიურად მონაწილეობს საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო ღონისძიებებში. იგი ავტორია 300-მდე ნაშრომის, რომელთა შორის 50-ზე მეტი გამოქვეყნებულია უცხოეთის მაღალრეინტიგულ ჟურნალებში. მისი 10 მონოგრაფიიდან 2 გამოქვეყნებულია უცხოეთში. იგი 1:200 000 მასშტაბის ორი საერთაშორისო რუკის რედაქტორი და თანაავტორია.

დ. შენგელია სხვადასხვა დროს იყო და არის რიგი საერთაშორისო სამეცნიერო ასოციაციის, გაერთიანებისა და კომისიის წევრი. იგი არის აგრეთვე, სხვადასხვა სამეცნიერო საბჭოს, სარედაქციო კოლეგიის წევრი და რედაქტორი.

დ. შენგელია მოღვაწეობდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც ორ ათეულ წელზე მეტხანს ხელმძღვანელობდა მინერალოგიის, პეტროლოგიისა და გეოქიმიის კათედრას. მისი ძალისხმევით, ამავე კათედრასთან შეიქმნა სპექტრული მეთოდებით ნივთიერებათა კვლევის რესპუბლიკური ცენტრი, რომელიც იმ დროისთვის უახლესი აპარატურით იყო აღჭურვილი.

1996 წლიდან დღემდე იგი არის ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის პეტროლოგიის, ვულკანოლოგიის, მინერალოგიისა და ლითოლოგიის განყოფილების ხელმძღვანელი. 2001 წელს დ. შენგელია არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტად, ხოლო 2008 წელს – აკადემიკოსად.

ვულოცავთ ბატონ დავითს დაბადებიდან 90 წლის იუბილეს და ვუსურვებთ მას ჯანმრთელობას, მხნეობას, დაუცხრომელი ენერგიის კიდევ დიდხანს შენარჩუნებას და მომავალი შემოქმედებითი გეგმების განხორციელებას ქართული მეცნიერების საკეთილდღეოდ.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია,

თსუ-ს ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი.

„ერთი დღე ჯარში“ სკოლის მოსწავლეებთან ერთად

სენაკის მე-2 ქვეით ბრიგადაში მაღალმთიანი რეგიონების საჯარო სკოლის მოსწავლეებისთვის ღია კარის დღე გაიმართა. სამხედრო ბაზას საგანმანათლებლო პროექტში „სამხედრო საქმე“ ჩართული სკოლების მოსწავლეები ესტუმრნენ, – ამის შესახებ ინფორმაციას თავდაცვის სამინისტრო ავრცელებს.

ახალგაზრდებმა სენაკის სამხედრო ბაზის ინფრასტრუქტურა, სამხედროების საცხოვრებელი პირობები, ბაზის ტერიტორიაზე გამოფენილი სამხედრო ტექნიკა და შეიარაღება დაათვალიერეს.

ღია კარის დღეები პროექტ „ერთი დღე ჯარში“ ფარგლებში თავდაცვის ძალების სამხედრო ბაზებზე სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტებისთვის რეგულარულად იმართება. ღონისძიების მიზანს თავდაცვის ძალების შესახებ ახალგაზრდა თაობის ინფორმირებულობის გაზრდა და ქართული ჯარის პოპულარიზაცია წარმოადგენს.



ჩინეთის ელჩის შეცდომა თუ?..

მსოფლიოში დიდი პოლიტიკური სკანდალი აგორდა, რაც საფრანგეთში ჩინეთის ელჩის სატელევიზიო ინტერვიუს მოჰყვა. ლუ-შაი ერთ სატელევიზიო გადაცემაში მიიწვიეს, სადაც, უკრაინის ომზე იყო საუბარი. ჟურნალისტი ელჩს ეკითხება, ყირიმი უკრაინას ხომ ეკუთვნისო, და ელჩმა უპასუხა – სტატუსი გაურკვეველია, რადგან, ყირიმი ადრე რუსეთს ეკუთვნოდაო, მაგრამ, ეს კიდევ არაფერი! ელჩმა განაგრძო, რომ საერთაშორისო სამართლის დონეზე, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შესაბამისი სტატუსიც კი არ აქვთ, რადგან არ არსებობს საერთაშორისო შეთანხმება, რომელიც მათ სუვერენულ ქვეყნებად აღიარებსო. ამ განცხადებით, ელჩმა ეჭვქვეშ დააყენა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ელჩის შეფასებამ მწვავე რეაქცია გამოიწვია დასავლეთში. ჩინეთის ელჩის აზრები დაგმო თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა ქვეყნის ხელისუფლებამ. ბალტიისპირეთის ქვეყნებმა, ელჩის სიტყვების განსამარტავად, თავიანთ ქვეყნებში ჩინეთის ელჩები დაიბარეს. ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, ჩვენ არა ყოფილი საბჭოთა ქვეყნები, არამედ, ის ქვეყნები ვართ, რომლებიც არალეგალურად იყო ოკუპირებული საბჭოთა კავშირის მიერო.

ელჩის გამოსვლაზე, თავად ჩინეთის მთავრობას მოუწია ახსნა-განმარტების გაკეთება. ჩინეთის მთავრობის წარმომადგენლმა მასმედიას განუცხადა, რომ ჩინეთი აღიარებს და პატივს სცემს ყოფილი საბჭოთა ქვეყნების სუვერენიტეტს. რა თქმა უნდა, ელჩის აზრი გადაჭარბებულად არ უნდა შეფასდეს. არც იმის ფიქრი იქნება მთლად მართებული, რომ ელჩის მოსაზრება ერთიერთში უნდა ემთხვეოდეს მთავრობის წარმოდგენას საკითხზე. შეიძლება, ელჩს მართლა შეეშალა რაღაც, ან ზედმეტი წამოსცდა, მაგრამ დიპლომატიის ისტორია გვასწავლის, რომ ელჩის ნათქვამი, ხშირად, გაუგებრობა კი არა, მიზანმიმართული პროვოკაციაა საკითხის ზონდირებისთვის. არ არის გამორიცხული, რომ ელჩმა ჩინეთის არაოფიციალური აზრები შემოაგდო სადისკუსიოდ. თუ მსოფლიო ამას ნორმალურად მიიღებს, ხომ კარგი. თუ არა და, ელჩის შეცდომად ჩაითვლება, თუმცა, ფაქტია, რომ ჩვენ მართლაც ძველი ეპოქის დაშლისა და ახლის წარმოჩენის ხანაში ვცხოვრობთ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის საერთაშორისო პოლიტიკის ერთ-ერთ ქვაკუთხედად საზღვრების ხელშეუხებლობა ითვლებოდა. ზოგადად, საზღვრების ცნობა-არცნობა მტკივნეული საკითხია საერთაშორისო სამართალში. ამის გამო ომები იწყებოდა ხოლმე! ამიტომ, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, მსოფლიო საზოგადოებამ ხმამაღლა განაცხადა, რომ კმარა გაურკვევლობა: საზღვრები ხელშეუხებელი უნდა იყოს! გაეროს შექმნის მთავარი მიზანიც, სწორედ ეს გახლდათ: ქვეყნების სუვერენიტეტის ხელშეუხებლობის დაცვა. გავიხსენოთ მეოცე საუკუნის მიწურულის ერაყ-ქუვეიტის ომი. მაშინ, მსოფლიო საზოგადოებამ ერთხმად დაგმო ერაყის მცდელობა, შეექმნა ახალი საზღვარი და აიძულა ის, გაეროს მიერ აღიარებულ საზღვრებში დაბრუნებულიყო. დღეს სახეზეა მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის მსოფლიო წესრიგის სრული ეროზია, რაც ადრინდელი პრაქტიკის გამეორებას ნიშნავს, როცა საზღვრები არ ითვლებოდა ხელშეუხებლად. ჩინეთის ელჩის სკანდალური განცხადებაც ამ კატეგორიაშია.

უკრაინული იაფი პროდუქტის პრობლემამ ევროპა გადარია!..

პოლონეთმა, უნგრეთმა, სლოვაკეთმა, რუმინეთმა და ბულგარეთმა უკრაინის სოფლის მეურეობის თითქმის ყველა პროდუქტზე, მარცვლეულზე, რძის ნაწარმზე, შაქარზე, ხილზე, ბოსტნეულზე, ხორცზე, კვერცხზე და კიდევ რამდენიმე სხვა პროდუქტზე ემბარგო გამოაცხადა. აკრძალვა 30 ივნისამდეა ძალაში, მაგრამ, შეიძლება, გახანგრძლივდეს.

ამ უცაბედი ზომების მიღებამ მთელი ევროპა დააფიქრა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებმა, განსაკუთრებით კი, პოლონეთმა, თითქოს, უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა უკრაინას. მაშ, რატომ გახდა აუცილებელი ასეთი მოულოდნელი ზომების მიღება? ეს ქვეყნები ძალიან შეაწუხა მათ ბაზარზე უკრაინული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მოზღვავებამ. ისინი, მათ შორის, პოლონეთი ყველაზე მეტად, თავად არიან სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მსხვილი ექსპორტიორები. ომის გამო, ევროკავშირმა უკრაინას დახმარება აღუთქვა მრეწველობის ყველა დარგში, მოუხსნა რა საექსპორტო გადასახადები, ანუ, მიანიჭა ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში ჭარბი პროდუქციის გატანის უპირატესობა. აღფრთოვანებული უკრაინელი ფერმერი, თავისი პროდუქციით, ევროპას მიაწყდა, განსაკუთრებით, მოსაზღვრე ქვეყნებს, რამაც მათ სასურსათო ბაზარზე ფასების დაცემა გამოიწვია. მოსახლეობა, ფასების შემცირებამ, ცხადია, გაახარა. სამაგიეროდ, პროდუქციის მწარმოებელები გააწბილა: ადგილობრივი პროდუქცია ძვირია და შემოტანილი უკრაინული საქონელი, იაფი. მოსახლეობა, ბუნებრივია, იაფ პროდუქციას მიეძალა. შედეგად, აღნიშნული ქვეყნების ფერმერები ქუჩაში გავიდნენ თავიანთ მთავრობათა მიმართ მოთხოვნით, რომ მათი პროდუქცია დაიცვან ევროკავშირის ბაზარზე. ვითარება ყველაზე მეტად პოლონეთში გამწვავდა, რასაც ქვეყნის სოფლის მეურნეობის მინისტრის კარიერა შეეწირა. ფერმერთა უკმაყოფილებამ პოლიტიკური ელფერი შეიძინა პოლონეთში, სადაც, მალე, საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს. სოციალური გამოკითხვის მიხედვით, მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ „კანონი და სამართალი“ უნდა გაიმარჯვოს, მაგრამ მმართველ ძალას ამბიცია აქვს, ხმების ორი მესამედით გაიმარჯვოს, რაშიც, გაბრაზებული ფერმერები ხელს უშლიან.

ემბარგოსთან დაკავშირებული მეორე პრობლემაა უკრაინული მარცვლეულის გატანა აფრიკის ქვეყნებში, რაც დობირებულად ხდება. მარცვლეულის აფრიკაში გადაზიდვის ძირითადი გზა ევროპაზე გადის, რომლის საზღვაო პორტებიდან საქონელი აფრიკისკენ მიემართება. ასეთი სატრანსპორტო ჯაჭვის შექმნას, უკრაინას ბრიუსელი დაჰპირდა, თუმცა, სწორად ვერ გათვალა, თუ რა სირთულეს შეეჭიდა, და პრობლემა ვერ გადაწყვიტა. შედეგად, უკრაინული მარცვლეულის დიდი ნაწილი ამ ხუთ ქვეყანაში გაიჭედა. ბოლოს, ყველაფერი ბრიუსელს დაბრალდა, რომელიც ცდილობს, როგორმე, განმუხტოს მდგომარეობა. ევროკომისიამ აღმოსავლეთ ევროპის ეს ხუთი ქვეყანა 100-მილიონიანი კომპენსაციით დააიმედა, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. ექსპერტები ბრიუსელს მიუთითებენ, რომ ამ ქვეყნებისა და უკრაინის სასურსათო პრობლემის დაძლევაში გერმანია, საფრანგეთი, იტალია და ესპანეთი უნდა ჩაერიონ, მაგრამ ისინი, როგორღაც, გვერდზე გადგნენ. როგორც ჩანს, ემბარგო საქმეს ვერ უშველის. საჭიროა ერთობლივი ევროპული ძალისხმევა. მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. აი, უკვე, თურქეთის მთავრობამაც გამოაცხადა, რომ იმპორტულ მარცვლეულზე მაღალ ტარიფებს დააწესებს...

„დედოფალი კლეოპატრა“... გააშავეს!

ალბათ, დამეთანხმებით, რომ ისტორიულ რევიზიონიზმს, ანუ, ისტორიის ხელახალი ინტერპრეტაციის მცდელობას, ფალსიფიკაციისა და ფსევდოისტორიზმის გარდა არაფერი მოუტანია. ამის მაგალითები დღესაც ბევრია, მათ შორის, ამერიკაშიც, სადაც, რადიკალური ლიბერალიზმის მიმდევრები, მოვლენათა სიზუსტისა და სინამდვილის მიმართ ყოველგვარი პატივისცემის გარეშე, ყველაფერს თავისი საკუთარი ჭკუისა და გემოვნების მიხედვით ცვლიან და ალაგებენ.

ამერიკულმა კინოკომპანია ნეტფლიქსმა, ეგვიპტის ლეგენდარულ დედოფალ კლეოპატრაზე, ოთხნაწილიანი მინისერიალი გადაიღო, სახელწოდებით, „დედოფალი კლეოპატრა“. ავტორებმა კინოფილმი წარმოადგინეს, როგორც, ნახევრად დოკუმენტური ნაწარმოები, ანუ, წესით, ფილმი, ეგვიპტის უკანასკნელი დედოფლის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამბავს ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით უნდა გვიყვებოდეს. ფილმის სარეკლამო ვიდეორგოლმა დიდი კამათი გამოიწვია, რომელშიც კლეოპატრას როლს ამერიკელი ფერადკანიანი მსახიობი, ადელ ჯეიმსი ასრულებს.

ამ დროს, ცნობილი ისტორიული ფაქტია, რომ კლეოპატრა VII ფილოპატორი, თეთრკანიანი იყო. მამამისი მაკედონიელი ბერძენი გახლდათ. ეგვიპტეს 300 წლის განმავლობაში მართავდა პტოლომეოსის ბერძნულ-მაკედონიური დინასტია. კლეოპატრა დინასტიის პირველი შთამომავალი იყო, რომელმაც ძველი ეგვიპტური ენა ისწავლა და მის მიერ მართული ქვეყნის ადათ-წესებს ეზიარა, რითაც ეგვიპტელთა დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. კლეოპატრა, ასევე, ცნობილი იყო დიდი რომაელი მხედართმთავრის, მარკუს ანტონიუსისადმი სიყვარულით.

დედოფალმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაამთავრა, რათა რომის პირველი იმპერატორის, ოქტავიანე ავგუსტუსის ტყვედ არ ქმნილიყო. კლეოპატრა ანტიკური სამყაროს ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული პერსონაჟია, რომლის ცხოვრების ისტორია მრავალი ხელოვანისთვის გახდა ინსპირაციის წყარო, როგორც ფერწერაში, ისე, ლიტერატურასა და კინემატოგრაფში.

კინოფილმის ავტორზე კონსერვატორი ამერიკელებიც განაწყენდნენ და ეგვიპტელებიც. ეგვიპტელებმა კინოკომპანიას უჩივლეს იმ მოტივით, რომ მან ეგვიპტური იდენტობის წაშლა მოინდომა. საჩივრის პასუხად და თავის გასამართლებლად, ფილმის რეჟისორმა, ქალბატონმა თინა გარავიმ, განაცხადა, რომ ამაყობს თავისი ფილმით, რადგან, მოახერხა ძლიერი ეგვიპტელი დედოფლის იერსახის შექმნა, დასძინა რა, რომ ძლიერ შავკანიან ქალებზე, სხვა ფილმების გადაღებაც სურს.

ბავშვობაში, კლეოპატრას როლში, ელიზაბეთ ტეილორი მყავდა ნანახი, რაც ჭეშმარიტებას სწორად ვერ ასახავდაო, თქვა მან. ამ განცხადებამ კიდევ უფრო მეტი აღშფოთება გამოიწვია, რადგან, გამოვიდა, რომ რეჟისორი, უბრალოდ, არ იცნობდა კლეოპატრას ისტორიას. ის რასისტულ-ლიბერალურ რადიკალიზმსა და უცოდინარობაში დაადანაშაულეს.

ისტორიკოსების აზრით, რეჟისორს სურდა, ისტორიული ფაქტების გათვალისწინების გარეშე, ლიბერალურ ნარატივზე დაფუძნებული ფილმი გადაეღო. მან მხოლოდ ის გაიგო, რომ კლეოპატრა აფრიკის დედოფალი იყო, და რადგან აფრიკელია, შავკანიანი უნდა ყოფილიყო. სულ არ აინტერესებდა, ეგვიპტელები რომ შავკანიანები არ არიან, და რომ კლეოპატრას ბერძნული სისხლი ჰქონდა.

ამ ამბავმა ნეტფლიქსის მიერ გადაღებული სხვა ფილმის ისტორია გამახსენა, რომელშიც მსოფლიო სიამაყის, ჩვენი ნონა გაფრინდაშვილის მიღწევები მიჩქმალული იყო. მოკლედ, ლიბერალურ ნარატივში თუ ვერ ჯდება ამა თუ იმ ნაწარმოების სიუჟეტი, ფაქტს ისე დაამახინჯებენ, რომ ჭეშმარიტებასთან არაფერი ექნება საერთო.

ნუგზარ ბ. რუხაძე
POSTV

ბახმუტთან კანადელი მებრძოლები დაიღუპნენ

ბახმუტისთვის ბრძოლაში ორი კანადელი მოხალისე მებრძოლი დაიღუპა, – შესაბამის ინფორმაციას კანადური მედია ავრცელებს.

დაღუპულები 27 წლის კაილ პორტერი და 21 წლის კოულ ზელენკო არიან. ისინი უკრაინის ინტერნაციონალურ ლეგიონში იბრძოდნენ. არსებული ცნობებით, კანადის მოქალაქეები ბახმუტთან 26 აპრილს საარტილერიო ცეცხლის შედეგად დაიღუპნენ.

კანადელი მოხალისეები უკრაინელ სამხედროებთან ერთად ბახმუტში მომარაგების საკვანძო გზის შენარჩუნების ოპერაციაში მონაწილეობდნენ. როგორც კანადურ მედიასთან მათი ჯგუფის მეთაური აცხადებს, პორტერთან და ზელენკოსთან ერთად, სულ მცირე, სამი უკრაინელი სამხედრო დაიღუპა.

კანადურ გამოცემა CBC News-თან ბოლო მიმოწერაში კაილ პორტერი ბახმუტის გარშემო შექმნილ რთულ ვითარებაზე საუბრობდა და არსებულ ვითარებას „ხორცსაკეპ მანქანას“ ადარებდა. რუსეთის მიერ ომის დაწყების შემდეგ უკრაინაში კანადის ხუთი მოქალაქე დაიღუპა.

ᲡᲐᲢᲔᲜᲓᲔᲠᲝ ᲛᲝᲬᲕᲔᲕᲐ

საქართველო

შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტი (SRAMP)

სესხის **No.: IBRD 8599-GE**

კონტრაქტის დასახელება: კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა RAMS-ის გასაუმჯობესებლად

სატენდერო მოწვევა: SRAMP/G/ICB-01

1. საქართველომ მსოფლიო ბანკისგან მიიღო დაფინანსება **შიდასახელმწიფოებრივი გზების აქტივების მართვის პროექტისთვის (SRAMP).** აღნიშნული პროექტიდან გარკვეული თანხა გამოყენებული იქნება კონტრაქტით გათვალისწინებული კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის ასანაზღაურებლად. კონტრაქტის დასახელებაა: **კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვა RAMS-ის გასაუმჯობესებლად.**

2. პროექტის განმახორციელებელი უწყება, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ქვემდებარეობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი იწვევს უფლებამოსილ პრეტენდენტებს წარმოადგინონ სატენდერო წინადადებები. დავალების განხორციელების პერიოდია**: 2 თვე.**

3. დავალების სავარაუდო ღირებულებაა **402,000.00 ლარი** ყველა გადასახადის, ბაჟის და სახელმწიფო მოსაკრებლის ჩათვლით. შეთავაზების ავტორმა უნდა წარმოადგინოს შეთავაზება არსებული საბაზრო ფასების და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს მოსაწოდებელი საქონლის ფასწარმოქმნაზე.

4. პრეტენდენტები უნდა აკმაყოფილებდნენ შემდეგ მინიმალურ საკვალიფიკაციო კრიტერიუმებს, რათა გაიარონ საკვალიფიკაციო შერჩევა კონტრაქტის მისანიჭებლად:

ა. პრეტენდენტის მხრიდან წარმოდგენილ უნდა იქნას უკანასკნელი სამი (2020, 2021, 2022) წლის აუდიტირებული ფინანსური ანგარიშები, ან თუ პრეტენდენტის ქვეყნის კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული, შემსყიდველისთვის მისაღები სხვა სახის ფინანსური უწყისები, რომელიც აჩვენებს პრეტენდენტის ფინანსური მდგრადობას. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს თითოეული წევრი ცალ-ცალკე.

ბ. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს გამოცდილება, რომელიც უნდა მოიცავდეს **2018 წლის 1 იანვრიდან სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადამდე პერიოდში** მინიმუმ ერთ (1) წარმატებით დასრულებულ კონტრაქტს, ღირებულებით არანაკლებ **340,000 ლარი** ან სამ (3) კონტრაქტამდე, ჯამური ღირებულებით არანაკლებ **340,000 ლარი**, რომლებიც წარმატებით განხორციელდა და არსებითად დასრულებულია და წინამდებარე სატენდერო მოწვევით გათვალისწინებული დავალების მსგავსია. ერთობლივი საწარმოს შემთხვევაში, აღნიშნული მოთხოვნა შესაძლოა დაკმაყოფილდეს ერთობლივად, მაგრამ არა უმეტეს 3 კონტრაქტით.

5. სატენდერო დოკუმენტების სრული პაკეტის ინგლისურ ენაზე ელექტრონული ფორმატით ჩამოტვირთვა შესაძლებელია უფასოდ.

6. სატენდერო წინადადებები უნდა აიტვირთოს ელექტრონულად (https://tenders.procurement.gov.ge/login.php?lang=eng), ინსტრუქციის 22.1 პუნქტის შესაბამისად. დაგვიანებით წარმოდგენილი სატენდერო წინადადებები არ დაიშვება. სატენდერო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა მითითებულია შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. სახელმწიფო შესყიდვებით გათვალისწინებული პროცედურები არ ვრცელდება აღნიშნულ შესყიდვაზე.

7. ტენდერში მონაწილეებმა სატენდერო წინადადების ფასი უნდა მიუთითონ ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში. სატენდერო წინადადების ფასის არ მითითება ერთიანი ელექტრონული სისტემის შესაბამის ველში გამოიწვევს სატენდერო წინადადების დისკვალიფიკაციას.

8. სატენდერო წინადადებების წარმოდგენა და ტენდერის გახსნა მოხდება საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემის გამოყენებით, რომელშიც გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი. საქართველოს სახელმწიფო ელექტრონული შესყიდვის სისტემაში შეტანილი ძირითადი ცვლილებებია:

ა) ელექტრონული სარეზერვო აუქციონის 3 რაუნდი აღარ გამოიყენება. რაუნდები აღნიშნული შესყიდვისთვის არ გამოიყენება;

ბ) კონტრაქტის სავარაუდო ღირებულება ცხადდება ელექტრონული შესყიდვების სისტემაში, რაც ტენდერის მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას თავად წარმოადგინონ სატენდერო ფასი, რომელიც შესაძლებელია იყოს სავარაუდო ღირებულებაზე მაღალი ან დაბალი, შეესაბამებოდეს ადგილობრივი საბაზრო ფასებს და, აგრეთვე, გათვალისწინებული იყოს ნებისმიერი სხვა ფაქტორი, რომელთაც შეიძლება გავლენა იქონიონ მოსაწოდებელი კომპიუტერული ტექნიკის ღირებულების განსაზღვრაზე;

9. სამუშაოების შესყიდვა ჩატარდება საერთაშორისო ტენდერის (ICB) პროცედურებით, რომლებიც აღწერილია მსოფლიო ბანკის სახელმძღვანელოში - *"მსოფლიო ბანკის სესხის ამღების მიერ საქონლის, სამუშაოებისა და არასაკონსულტაციო მომსახურების შესყიდვა რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკის (IBRD) სესხის და განვითარების საერთაშორისო ასოციაციის (IDA) კრედიტებისა და გრანტების პირობებით (2011 წლის იანვარი, განახლებული 2014 წლის ივლისში)"* და ხელმისაწვდომია ყველა უფლებამოსილი პრეტენდენტისთვის როგორც ეს განსაზღვრულია შესყიდვების სახელმძღვანელოთი. დამატებით, გთხოვთ იხელმძღვანელოთ 1.6 და 1.7 პუნქტებით, რომლებიც განსაზღვრავენ მსოფლიო ბანკის პოლიტიკას ინტერესთა კონფლიქტის შესახებ. ინფორმაციის დასაზუსტებლად შეკითხვები უნდა აიტვიროთს შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში. ყველა შეკითხვის პასუხი ასევე აიტვირთება შესყიდვების ელექტრონულ სისტემაში;

10. ყველა სატენდერო წინადადებას თან უნდა ახლდეს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 5,000.00 (ხუთი ათასი) ლარის ოდენობით ან ექვივალენტი ნებისმიერ თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში. იმ შემთხვევაში, თუ სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია წარმოდგენილია სხვა ვალუტაში, გარდა ქართული ლარისა, გამოიყენება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოქვეყნებული გაცვლითი კურსი (www.nbg.gov.ge). გაცვლითი კურსის მოქმედი თარიღია: წინადადების წარდგენის ვადამდე 28 დღით ადრე. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტებმა ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ, შემდეგ ვადებში: მხოლოდ წინადადებების წარმოდგენის შემდეგ და არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში. ორიგინალი სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია უნდა წარმოადგინონ ქვემოთ მოცემულ მისამართზე

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი
ქალბატონი სალომე წურწუმია - თავმჯდომარის მოადგილე
მისამართი: ალ.ყაზბეგის გამზ. 12
ქალაქი: თბილისი, 0160
ქვეყანა: საქართველო

შენიშვნა: სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტიის დაგვიანებული წარმოდგენა გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას სატენდერო პროცედურებიდან.

11. შემსყიდველის მისამართი:
საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი:
ალ. ყაზბეგის გამზირი 12, 0160 თბილისი, საქართველო
ტელეფონი: + (995 322) 37-05-08
ფაქსი: + (995 322) 31-30-34
ელ-ფოსტა: info@georoad.ge
ვებ-გვერდი: www.georoad.ge

INVITATION FOR BIDS

Georgia

Secondary Road Asset Management Project (SRAMP)

Loan No.: IBRD 8599 -GE

Contract Title: Procurement of Computer Hardware for Enhancing RAMS

Reference No.: SRAMP/G/ICB-01

1. Georgia has received financing from the World Bank toward the cost of the Secondary Road Asset Management Project (SRAMP), and intends to apply part of the proceeds toward payments under the contract for **Procurement of Computer Hardware for Enhancing RAMS.**

2. The Project Implementing Agency, the Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia, now invites eligible bidders to submit their bids for Procurement of Computer Hardware for Enhancing RAMS. Delivery period for the Goods is **2 (two) months.**

3. The estimated cost of the Goods is **GEL 402,000.00** including all taxes, duties and other governmental levies. However, it is the responsibility of the bidder to submit a bid price, which could be below or above the estimated cost, based on the current market prices and any other factors, which may influence the pricing of the proposed Goods.

4. Bidders shall meet the following minimum qualifying criteria to qualify for award of the contract:

a. The Bidder shall submit audited financial statements or, if not required by the law of the Bidder's country, other financial statements acceptable to the Purchaser, for the last three – 2020, 2021, 2022 years prior to bid submission deadline, demonstrating the current soundness of the Bidder's financial position. For a joint venture, this requirement shall be met by each member;

b. The Bidder shall demonstrate that it has successfully completed at least 1 contract with the value of at least GEL 340,000 within the last 5 (five) years, starting 1st January 2018, prior to bid submission deadline, OR up to 3 contracts with a combined value of at least GEL 340,000 that have been successfully and substantially completed and that are similar in nature and complexity to the Goods and Related Services under the Contract. For a joint venture, this requirement may be met by all members combined with not more than 3 contracts.

5. A complete set of bidding documentation in English language in electronic format can be downloaded for free.

6. Bids shall be submitted electronically as outlined in ITB 22.1. Late bids will not be accepted. Deadline for electronic bids submission is: as stated in the state E-procurement system. Government procurement procedures SHALL NOT apply for this procurement

7. Bidders shall indicate bid price in electronic field in Georgian E-Government Procurement System (https://tenders.procurement.gov.ge/login.php?lang=eng), failing to do so, will result in rejection of such bid.

8. Bid submission and bid opening will take place electronically using Georgian E-Government Procurement System with certain modifications. Major modifications to the Georgian E-Procurement System are:

- Functionality of the three rounds of e-Reverse auction is not applied. Rounds will not be applicable.
- The estimated cost of the contract is disclosed in the e-Procurement system and bidders can submit a bid price, which could be below or above the estimated cost, however pricing the bid is the responsibility of the bidder which shall be based on the current market prices and any other factors which may influence the pricing of the proposed Goods.

9. Bidding will be conducted through the International Competitive Bidding procedures as specified in the World Bank's Guidelines: Procurement of Goods, Works and Non-Consulting Services under IBRD Loans and IDA Credits & Grants by World Bank Borrowers January 2011, revised July 2014 ("Procurement Guidelines"), and is open to all eligible bidders as defined in the Procurement Guidelines. In addition, please refer to paragraphs 1.6 and 1.7 setting forth the World Bank's policy on conflict of interest. Requests for clarification should be submitted through the Georgian E- Government Procurement System.

10. All bids must be accompanied by a Bid-Security. The amount and currency of the Bid Security shall be GEL 5,000 (Five Thousand Georgian Lari) or Equivalent in any freely convertible currency. In case the Bid Security is submitted in any currency other than Georgian Lari, the exchange rate published by the National Bank of Georgia shall be used (www.nbg.gov.ge). The applicable date for the exchange rate shall be: 28 days prior to the deadline of bid submission. The Original Bid Security shall be delivered within the following timeframe: Only after the bid submission deadline and no later than 10 business days from the bid submission deadline in original form to the following address of the Employer:

Roads Department of Georgia under the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Attention: Ms. SalomeTsurtsumia - Deputy Chairperson
Address: 12, Al.Kazbegi Ave
City: Tbilisi ZIP Code: 0160
Country: Georgia

Note: Belated delivery of the original Bid Security will make the bid non-responsive and will be rejected by the Employer.

11. The Purchaser's address is:
Roads Department of the Ministry of Regional Development and Infrastructure of Georgia
Al. Kazbegi Avenue 12, Tbilisi, 0160 Georgia
Tel: + (995 322) 37-05-08
Fax: + (995 322) 31-30-34
E-mail: info@georoad.ge
Web Site: www.georoad.ge

ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო კორტი რუსთავში

რუსთავის მერიის და კომპანია „გალფის“ ერთობლივი პროექტის ფარგლებში, რუსთავში, აღმაშენებლის გამზირზე, ზაზა ფაჩულიას სახელობის საკალათბურთო კორტი გაიხსნა. საკალათბურთო მოედნის გახსნას, რუსთავის მერი ნინო ლაცაბიძე, ზაზა ფაჩულიასთან, „გალფის“ გენერალურ დირექტორ ქრეიგ კრამერთან და კომპანიის დამფუძნებელ ვანო ნაკაიძესთან ერთად დაესწრო.

– ეს პროექტი კარგი მაგალითია იმისა, თუ როგორ გაერთიანდა მუნიციპალიტეტი, ბიზნესი და წარმატებული სპორტსმენი და რამდენად მნიშვნელოვანია ქალაქებში ახალი ინფრასტრუქტურის მოწყობა. კიდევ ერთხელ მადლობა მათ ამ თანამშრომლობისთვის, ჩვენ კი რუსთავში გავაგრძელებთ განვითარებას და, რა თქმა უნდა, სპორტული მიმართულება იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი“, – განაცხადა რუსთავის მერმა ნინო ლაცაბიძემ.

ზაზა ფაჩულიას სახელობის „გალფის“ საკალათბურთო მოედანი საქართველოს მასშტაბით რიგით მეოთხეა. მოედანი საერთაშორისო საკალათბურთო სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს და აღჭურვილია მაღალი ხარისხის თანამედროვე საფარით. სპორტული მოედნის მიმდებარედ, რუსთავის მერიამ ახალი რეკრეაციული სივრცეც მოაწყო. ეს პროექტი იმის დამადასტურებელია თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ქუჩის კალათბურთი განვითარდეს და ბავშვებს მიეცეთ იმის საშუალება, რომ გარეთ გამოვიდნენ, ჯანსაღი ცხოვრებით იცხოვრონ.

კომპანია „გალფი“ მთელი საქართველოს მასშტაბით 20 საკალათბურთო კორტის მშენებლობას გეგმავს. მათი მთავარი მიზანი კი ბავშვებსა და ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების წესის დანერგვა და პოპულარიზაციაა.

◎ მწვერვალზე!

თაობათა სახელით

მოსწონს თუ არა ეს ვინმეს, სწორი სახელმწიფო პოლიტიკა ასახვას ქართული სპორტის აღორძინებაშიც პოულობს, რაც შეუქცევადი პროცესის სახეს იღებს. ეს უპირველესად სათამაშო სახეობებზე ითქმის, თორემ ძალისმიერი და ინდივიდუალური დისციპლინების ვარსკვლავთაგან ტრიუმფებს საერთაშორისო ასპარეზზე ოდითგანვე მიჩვეულნი ვართ.

მეტი თვალსაჩინოებისათვის მორაგბეთა, კალათბურთელთა და წყალბურთელთა მაგალითები მოვიშველიოთ, რომლებიც სისტემატურად მონაწილეობენ უმაღლესი რანგის ფორუმებში. დაუმატეთ ამას ელიტის ზღურბლთან დამკვიდრებულ ჰოკეისტთა თუ ფეხბურთელთა პროგრესი და მიხვდებით, რომ ჩვენ სავსებით საფუძვლიანი ოპტიმიზმით შევყურებთ მომავალს.

და აი, უკანასკნელი, თანაც მოულოდნელი ზღაპრული ფაქტი: დამოუკიდებელი საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები გაისად 10-დან 28 იანვრის ჩათვლით გერმანიაში ისტორიაში პირველად ითამაშებს ევროპის ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში. ვულოცავთ!

სასწაული ბუდაპეშტში მოხდა, სადაც ტიტე კალანდაძის, შოთა თევზაძის, მერაბ მეტრეველისა და ლევან კაკუშაძის სამწყსომ სენსაციური მარცხი აგემა ყველა ტურნირის მუდმივ ფავორიტსა და საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩვენი ქვეჯგუფის ნაადრევ გამარჯვებულს უნგრეთის ნაკრებს – 31:30, რამაც საუკეთესო მესამეადგილოსანის კვოტით სანუკვარი მიზნისთვის მიგვაღწევინა. ისიც სათქმელია, რომ მოვლენები სხვა კვარტეტშიც ჩვენთვის სასურველი სცენარით განვითარდა, სადაც ჩრდილოეთ მაკედონიამ თურქეთს სძლია.

რაც შეეხება ძლევაი საკვირველს, მისმა გმირმა **გიორგი ცხოვრებაძემ** მასპინძლებს 8 გურთი გაუტანა, მათ შორის გადამწყვეტი – ოქროს გოლი საფინალო სასტვენამდე 10 წამით ადრე პენალტით.

დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ, უძვლო ენით მოჭარტალე პოლიტიკანები აღნიშნული ისტორიული წარმატებითაც დაიბოღმებიან და კიდევ ერთხელ ამოაფრქვევენ შხამსა და გესლს – მადიართა ქვეყან:აში პრემიერ ღარიბაშვილის მოახლოებული ვიზიტის წინ პუტინისტმა ორბანმა კავკასიელ კოლეგას საჩუქარი უძღვნაო. გულზეც გამსკდარან! – ჩვენ ხომ ვიცით, რომ ხელბურთის პელეს – **ჯემალ ცერცვაძისა** და ოლიმპიური ჩემპიონის – **ალექსანდრე ანპილოგოვის** სამშობლო ნავსის გატეხას აქამდეც იმსახურებდა. ასე რომ, მოგვიანებით, მაგრამ სამართალმა პური მაინც ჭამა!

ჯვაროსანთა შემადგენლობა: ცინცაძე, ნიქაბაძე, კალანდაძე, ცხოვრებაძე, არსენაშვილი, რუსტამოვი, კბილაშვილი, დიხამინჯია, ლაპიაშვილი, ორჯონიკიძე, გოგოლაძე, დარსანია, აბრამიშვილი, გოგავა, გავაშელიშვილი, სიმონია.

◎ წილისყრის შემდეგ

იაპონურ ტალღაზე

მას შემდეგ, რაც ფილიპინების დედაქალაქ მანილაში გამართული ჩვენთვის სადებიუტო საკალათბურთო მუნდიალის წილისყრის შემდეგ ემოციები ნაწილობრივ მაინც ჩაცხრა, მოდით, მის პერიპეტიებს დავუბრუნდეთ და, უპირველესად, აზიური ფორუმის იმ F ჯგუფის კალენდარს გავეცნოთ, რომელსაც იაპონური ოკინავა უმასპინძლებს.

26 აგვისტო. კაბო ვერდე (ყოფილი მწვანე კონცხის კუნძულები) – საქართველო, სლოვენია – ვენესუელა.

28 აგვისტო. საქართველო – სლოვენია, ვენესუელა – კაბო ვერდე.

30 აგვისტო. საქართველო – ვენესუელა, სლოვენია – კაბო ვერდე.

რაც შეეხება მეტოქეებს, მათი სადარბაზო ბარათი ასეთია.

სლოვენია. ევრობასკეტ – 2017-ის ტრიუმფატორი და ტოკიოს ოლიმპიადის ნახევარფინალისტი მეოთხედ ითამაშებს მსოფლიოს ჩემპიონატზე. მთლიანად ტურნირის ფავორიტის და ფიბას რეიტინგის მეშვიდეადგილოსნის თავკაცს ალექსანდრ სეკულიჩს განსაკუთრებით ნბა-ს კაშკაშა ვარსკვლავის ლუკა დონჩიჩის იმედი აქვს, რომელსაც მხარს ასევე ღირსეულთა კამპანია დაუმშვენებს ძმების დრაგიჩების, ჩანჩარის, პრეპელიჩის, მურიჩის, ბლაჟიჩისა და ნიკოლიჩის სახით. შეგახსენებთ, რომ ბალკანელებს ჯერჯერობით ერთადერთი ტიტული იგორ კოკოშკოვმა მოუპოვა.

ვენესუელა. პოპულარული ტელესერიალების მშობელი ქვეყნის გუნდმა თვით სამხრეთამერიკული გრანდი არგენტინა გაამწარა და ამით ყველაფერია ნათქვამი. მის მთავარ მიღწევას 2015 წელს მოგებული კოპა ამერიკა წარმოადგენს. ფიბას რეიტინგის მე-17 ნომერს, რომელსაც ფერნანდო დურო წვრთნის, ზურგს ოლიმპიადებზე 2-ჯერ გამოსვლის გამოცდილება უმაგრებს, მუნდიალზე კი მეხუთედ იასპარეზებს.

დავძენთ, რომ ჩვენს უშუალო კონკურენტს (რა თქმა უნდა, სავარაუდოდ) ესპანურ გრან კანარიაში მოთამაშე ერთადერთი ლეგიონერი – მიხაელ კარერა ჰყავს, მისი ლიდერები კი ნბა-მოვლილი ნატურალიზებული 39 წლის დონტა სმიტი და, გამორჩეულად, „მხოლოდ“ 36 წლის ვეტერანი ვინდი გრატეროლი არიან.

კაბო ვერდე. თუ რომელიმე ნაკრებს შეიძლება ერთი კაცის გუნდი ეწოდოს, ესაა ემანუელ ტროვაოდას ნავარჯიშევი ფიბას რეიტინგის 64-ე ადგილოსანი აფრიკული დებიუტანტი, სადაც ყველაფერი მადრიდის რეალის 221-სანტიმეტრიან გიგანტ ედი ტავარეშზეა აწყობილი. სხვათა შორის, მისი პარტნიორი ჟოელ ალმეიდა 2020-2021 წლების სეზონში ქუთაისის მაისურით საქართველოს სუპერლიგაში თამაშობდა.

და ბოლოს: ამ დღეებშივე გაირკვა, რომ 2027 წლის მუნდიალს ყატარი მიიღებს და მისი ყველა მატჩი დედაქალაქ დოჰაში გაიმართება.



ორიოდე სიტყვით

ფეხბურთი

ნაპოლისა და ხვიჩა კვარაცხელიას ოფიციალური გაჩემპიონება, სავარაუდოდ, რამდენიმე დღით გადაიდო მას შემდეგ, რაც კამპანიელებს 6 წუთი დააკლდათ შინ იტალიის სერია – ა-ს 32-ე ტურის ოქროს მატჩის მოსაგებად სალერნიტანასთან – 1:1. თუ დღეს ლუჩანო სპალეტის გუნდის უახლოესი მდევარი ლაციო შინ სასუოლოს ვერ დაამარცხებს, პარტენოპეი უდინეზესთან ხვალინდელი გასვლითი შეხვედრის შედეგის მიუხედავად მესამედ დაეუფლება სკუდეტოს.

რაგბი

გაირკვა 6 მაისს დიდი ათის ფინალში რუსთავის ხარების მომავალი მეტოქის ვინაობა. ესაა ქვეყნის მოქმედი ჩემპიონი ბათუმი, რომელმაც დედაქალაქში გამართულ წინასწარ ფინალში რეგულარული გათამაშების გამარჯვებული თბილისის ლელო დაამარცხა – 34:17.

მასპინძლები 26-ე წუთიდან უმცირესობაში თამაშობდნენ, რადგან ჩვენმა წამყვანმა მსაჯმა ნიკა ამაშუკელმა მოედნიდან მათი მესამეხაზელი ბექა გელხვიძე გააძევა, მძაფრი ბრძოლის ბედი კი შესვენების შემდეგ გადაწყდა. ზღვისპირელებს ქულები ლელოების ავტორებმა – მატჩის საუკეთესო მოთამაშემ ზურაბ ძნელაძემ, გიორგი ფრუიძემ და ანზორ სიჭინავამ, აგრეთვე ზუსტი საჯარიმოთი და გარდასახვებით მამუკა ნინიძემ მოუტანეს.

ჭადრაკი

ქალთა მსგავსად, ვაჟთა გვირგვინოსანიც ამიერიდან ცისქვეშეთს წარმოადგენს.

ესაა მსოფლიოს მე-17 ჩემპიონი დინ ლიჟენი, რომელმაც ყაზახურ ასტანაში გამართული სატიტულო მარათონი ტაიბრეიკის 4 პარტიის (რაპიდის დროის კონტროლი 25 წუთი – 10 წამი) შედეგად რუს იან ნეპომნიაშჩის მოუგო, რომელიც ფინალში ზედიზედ მეორედ დამარცხდა (14 კლასიკური პარტია 7:7 დასრულდა). დავძენთ, რომ ჩინელმა წოდება ნორვეგიელ მაგნუს კარლსენისგან გადაიბარა.

პარაწოლჭიმი

ქართული ჰიმნით დაიხურა თბილისი 2023 მსოფლიო თასის გათამაშება პარაწოლჭიმში.

მძიმე წონაში (+107კგ) საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე აკაკი ჯინჭარაძე ავიდა (222 კგ), ხოლო მესამე პრიზიორმა გიორგი ლაცაბიძემ 217 კგ დაძლია. სულ მასპინძლებმა 4 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო და 2 ბრინჯაო.

წიგნის თარო

სპორტის ქომაგთა მორიგი სამაგიდო წიგნით გაგვახარა ჩვენმა ხელხვავიანმა კოლეგამ ლაშა გოდუაძემ, რომელმაც ძვირფას სტრიქონებად აკინძა მსოფლიოს ქართველ ჩემპიონთა სასახელო ბიოგრაფიული თუ კარიერული მონაცემები.

აღნიშნულ წონად ნაშრომს თამამად შეგვიძლია მცირე ენციკლოპედია ვუწოდოთ. გვწამს, რომ გაგრძელება იქნება!

საქართველოს ტურისტული პოტენციალი დუბაის საერთაშორისო გამოფენაზე

საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მიმდინარე ტურისტულ გამოფენაში „ATM Dubai 2023“ მონაწილეობს. ახლო აღმოსავლეთში ერთ-ერთ უდიდეს ტურისტულ გამოფენაზე ტურიზმის ეროვნულ ადმინისტრაციასთან ერთად 52 ტურისტული კომპანია და სასტუმროა წარდგენილი, – ამის შესახებ ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

გამოფენაში მონაწილეობენ აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია და თბილისის მერია.

გამოფენაში საქართველოს მონაწილეობის მნიშვნელობაზე საუბრობს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილი.

„საქართველოს ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციის მიზნით საქართველო მონაწილეობს დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე. ძალიან მევრი ადამიანი სტუმრობს საქართველოს სტენდს. დარწმუნებული ვარ, ეს გამოფენა იქნება მორიგი წარმატება ჩვენი ქვეყნისთვის და საქართველოს ცნობადობა უფრო გაიზრდება სპარსეთის ყურის ქვეყნებში და ეს დადებითად აისახება რეგიონიდან ჩვენს ქვეყანაში ტურისტული ვიზიტების ზრდაზე“, – განაცხადა მარიამ ქვრივიშვილმა.

დუბაიში მიმდინარე გამოფენის ფარგლებში ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია, საქართველოში ტურისტული ნაკადების გაზრდის მიზნით, კერძო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად შეხვედრებს მართავს სპარსეთის ყურის ქვეყნების უმსხვილეს ტურისტულ და ავიაკომპანიებთან. შეხვედრებში მონაწილეობს საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი მაია ომიაძე.

გამოფენის ფარგლებში მოეწყო სპეციალური სტენდი, სადაც დამთვალიერებლებსა და ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებს საშუალება აქვთ გაეცნონ საქართველოს ტურისტულ პროდუქტებს. დუბაის საერთაშორისო ტურისტულ გამოფენაში 150-ზე მეტი ქვეყნის 2 ათასზე მეტი კომპანია მონაწილეობს. გამოფენას 34 ათასზე მეტი ვიზიტორი ჰყავს.

ქრთამი გალში უწყვეტად ცხოვრების დასადასტურებლად

არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი“ ოკუპირებულ აფხაზეთში, გალში დროებით გადაადგილებასთან დაკავშირებით ინფორმაციას ავრცელებს.

გალელებს, რომლებმაც აფხაზური და რუსული პასპორტების აღებაზე უარი თქვეს, 2017-2018 წლებში ე.წ. ბინადრობის მოწმოგები დაურიგდათ, რაც დროებითი გადაადგილების დოკუმენტადაც ითვლება. საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე მიმოსვლას გალის მცხოვრებლები სწორედ ამ მოწმობით ახერხებდნენ. თუმცა, ვინაიდან ბინადრობის მოწმობის მოქმედების ვადა 5 წელია, გალელების უმრავლესობა 2023 წლის დასაწყისისთვის გადაადგილებისთვის აუცილებელი დოკუმენტების გარეშე დარჩა.

„უცხო ქვეყნის მოქალაქეთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ („О правовом положении иностранних граждан“) აფხაზურ ე.წ. კანონში 2023 წლის იანვარში შეტანილმა ცვლილებებმა ბინადრობის მოწმობის მიღების პროცედურა გაართულა.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი უკვე წერდა, რომ გადაადგილების დოკუმენტის გასაცემად, გალელებს ბოლო 5 წლის განმავლობაში აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად ყოფნის დადასტურება მოსთხოვეს.

ეს მოთხოვნა განსაკუთრებით პრობლემური აღმოჩნდა სტუდენტებისა და თბილისის კონტროლირებად ტერიტორიაზე დასაქმებული ადგილობრივებისთვის. პრობლემის მოსაგვარებლად გალელებს კორუფციული გამოსავალი შესთავაზეს. გალში უწყვეტად ცხოვრების დასადასტურებლად ყალბი საბუთის დამზადება ასი ათასი რუბლი (დაახლოებით 3,110 ლარი) ღირს.

2022 წლის დეკემბრიდან 2023 წლის მარტის ბოლომდე გალის მოსახლეობის დიდი ნაწილი, დოკუმენტის არქონის გამო გადაადგილების თავისუფლებით სარგებლობას ფაქტობრივად ვერ ახერხებდა.

ამჟამად, პრობლემის სრულად გადაწყვეტამდე და მოსახლეობის პროტესტის გასანეიტრალებლად, ფორმა №9-ის მოქმედების ვადა მარტის ბოლოდან 2023 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივდა, თუმცა მოსახლეობას აფხაზეთში უწყვეტად ცხოვრების დასადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, ქრთამის გადახდა, სავარაუდოდ, მაინც მოუწევს.

სანთელი

სირენა ნაყოფია

ზუგდიდის რაიონის სოფელმა კახათმა არაერთი ღირსეული მამულიშვილით დაამშვენა სამშობლო.

მათ შორის გახლავთ განათლების დარგის შესანიშნავი წარმომადგენელი, საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, მრავალი მედლისა თუ სიგელის კავალერი სირენა ნაყოფია, რომელიც საუკუნეს მიღწეული, ამ 40 დღის წინათ გამოგვეთხოვა და მარადიული ტკივილი დაგვიტოვა.

ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, იგი თაობათა დაფრთიანების ძნელ ბილიკს რუდუნებით შეუყვა და, როგორც უცხო ენათა პროფესიონალი სპეციალისტი, ჯერ დედაქალაქის მე-4 გერმანულ, ხოლო შემდეგ – ნახევარი საუკუნის განმავლობაში 117-ე საშუალო სკოლაში სამაგალითოდ მოღვაწეობდა.

სულით უტეხმა ქალბატონმა სალი კლდესავით გადაიტანა სრულიად ახალგაზრდა მეუღლის – ოპერის მსახიობ დემურ ვეკუასა და უფროსი ქალიშვილის – ნანას ტრაგიკული დაღუპვა, რაც ბევრს დაუკარგავდა ცხოვრების საზრისს.

პირიქით – ჩვენი სირენა ხანგრძლივი სიცოცხლის ბოლომდე შეჰნატროდა საამაყო შთამომავლობას – უმცროსი ქალიშვილის ირასა და ლადო ზაქარეიშვილის ოჯახს, შვილიშვილებს – კობასა და ავთოს, შვილთაშვილებს – ლადოს, დათოს, მარიამსა და ლევანს, რძლებს – თამთა გოგუაძესა და ინგა ნადირაშვილს.

მსუბუქი იყოს შენთვის ქართული მიწა, ჩვენო ძვირფასო მოამაგევ!

დისშვილები, ძმისშვილები,
მამიდაშვილები, ბიძაშვილები –
ლუიზა, კოტე, კუკური, ომიკო,
ლოთი, კობა, სოსო ნაყოფიები.

თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმის ახალი დეტალები

თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეზე **შსს-ს თანამშრომლის, სერგო შუბითიძის განცხადების საფუძველზე პროკურატურაში გამოძიება დაიწყო,** – ამის შესახებ აღნიშნულია პროკურატურის განცხადებაში.

„29 აპრილს თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლის, სერგო შუბითიძის მიერ ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემული ინტერვიუს საფუძველზე თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოში დაწყებული იქნა გამოძიება თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების სისხლის სამართლის საქმეზე მტკიცებულებათა შესაძლო ფალსიფიკაციის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 369-ე პრიმა მუხლით. გამოძიების ფარგლებში, გამოკითხვის მიზნით დაუყოვნებლივ იქნა დაბარებული სერგო შუბითიძე, რომლის წარმომადგენელი პირველ მაისს დაუკავშირდა თბილისის პროკურატურას და, შესაბამისად, მისი გამოკითხვა 2 მაისს შედგა. საზოგადოებას შევახსენებთ, რომ თამარ ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება მისი გაუჩინარების ფაქტზე 2020 წლის 19 ივლისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის თეთრიწყაროს რაიონულ სამმართველოში დაიწყო. 2020 წლის 22 ივლისს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მაწევანის ტერიტორიაზე თამარ ბაჩალიაშვილის ცხედარი საკუთარ ავტომანქანაში იქნა აღმოაჩინეს...

პოლიციამ თბილისში მომხდარი მკვლელობის გამო კიდევ ერთი პირი დააკავა!

შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1968 წელს დაბადებული, წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვის ნასამართლევი ზ.ბ. განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის, მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავეს, – ამის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, სამართალდამცველების მიერ, ამავე ბრალდებით, მიმდინარე წლის 23 აპრილს დაკავებულია 1977 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი ნ.ზ., ხოლო 1975 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი დ.თ. პოლიციამ განზრახ მკვლელობის ბრალდებით, ცხელ კვალზე დააკავა.

დანაშაულები 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ალკოჰოლის ზემოქმედების ქვეშ მყოფმა დ.თ.-მ მიმდინარე წლის 22 აპრილს, თბილისში, მისსავე ნაქირავებ ბინაში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა 1989 წელს დაბადებულ ზ.ე.-ს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ მკვლელობის ფაქტს შეესწრნენ ნ.ზ. და ზ.ბ., თუმცა პოლიციას მომხდარი დანაშაულის შესახებ არ შეატყობინეს.

„ველური დასავლეთი“ ფიროსმანზე

თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე ცეცხლსასროლი იარაღიდან მამაკაცი დაჭრეს.

არსებული ინფორმაციით, საცხოვრებელი სახლის წინ გამოსულ მამაკაცს, სავარაუდოდ, მიმავალი მანქანიდან სამჯერ ესროლეს. ავტომობილი გაქცევის დროს ავტობუსს დაეჯახა და შემდეგ შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. როგორც ავტობუსის მძღოლი ამბობს, ჯიპი შეეჯახა და გაიქცა, თუმცა არ აქვს ინფორმაცია იმავე მანქანიდან ისროლეს თუ არა. სროლის შედეგად დაჭრილი მამაკაცი კლინიკაშია გადაყვანილი.

ᲪᲜᲝᲑᲔᲑᲘ „ᲛᲖᲘᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲓᲐᲜ“

ᲥᲣᲗᲐᲗᲣᲠᲔᲑᲛᲐ „ᲒᲕᲘᲠᲘᲚᲝᲑᲐ“ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲔᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ქუთაისში ტრადიციული სახალხო დღესასწაული „გვირილობა“, იგივე ორმაისობა აღინიშნა. სახალხო დღესასწაულის აღნიშვნა ბაგრატის ტაძრიდან დაიწყო და გალა-კონცერტით დასრულდა.

დაგეგმილი ღონისძიებების ფარგლებში, ხელისუფლების წარმომადგენლებმა „სამი ოთარის“ ძეგლი ყვავილებით შეამკეს.

ქალაქის ცენტრში გაიმართა გამოფენა-გაყიდვები, შეხვედრები, ფორუმები, პრეზენტაციები, საბავშვო და სპორტული აქტივობები. ტრადიციულად აირჩიეს ქუთაისის საპატიო მოქალაქეები. გუშინვე მოხდა ევროპის 21 წლამდე ნაკრებთა ფეხბურთის ჩემპიონატის გარდამავალი თასის წარდგენა. მესხიშვილის თეატრში თბილისის სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა სიმღერები ქართული კინოფილმებიდან. ორი მაისის მრავალფეროვანი ღონისძიებები გალა-კონცერტით დასრულდა. „გვირილობა“ მე-20 საუკუნის 20-იან წლებში დამკვიდრებული საქველმოქმედო ღონისძიებაა. გიმნაზიელი გოგონები გვირილებს კრეფდნენ, ყიდდნენ და შეგროვილი თანხით ტუბერკულოზით დაავადებულ ადამიანებს ეხმარებოდნენ.

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲗᲝᲯᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲒᲠᲐᲜ-ᲞᲠᲘ...

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ თოჯინების სახელმწიფო თეატრმა, რომელიც 1946 წელს დაარსდა, ყაზახეთის თოჯინების თეატრების მე-6 საერთაშორისო ფესტივალზე გრან-პრი მოიპოვა. ინფორმაციას კულტურის სამინისტრო ავრცელებს.

ფესტივალზე წარმოდგენილი იყო ნინო მაღლაკელიძის სპექტაკლი – „მახინჯი იხვის ჭუკი“. ვულოცავთ საქართველოს თოჯინების პროფესიული სახელმწიფო თეატრების გაერთიანებასა და სპექტაკლის შემოქმედებით ჯგუფს ამ წარმატებას!

ᲐᲠ ᲘᲧᲘᲓᲝᲗ ᲛᲝᲛᲬᲐᲛᲕᲚᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐ!

„პალმოლივის“, „დავის“, „გარნიეს“ და „ინტესას“ ჰიგიენური საშუალებების მომხმარებლები ფრთხილად უნდა იყვნენ.

ევროკავშირი სწრაფი განგაშის სიგნალს ავრცელებს – იტალიაში წარმოებული გარკვეული სახეობის პროდუქცია ჯანმრთელობისთვის საშიშია. მასში საერთაშორისო ექსპერტებმა აკრძალული ნივთიერებები აღმოაჩინეს. ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს საეჭვო პროდუქციის მიმოქცევიდან ამოღება მოსთხოვეს.

ევროკავშირმა წლის ყველაზე საშიში არასაკვები პროდუქტების ჩამონათვალიც გამოაქვეყნა. ანგარიშში მოწინავე პოზიციას საბავშვო ნივთები იკავებს. სათამაშოების შემთხვევაში რისკები ორი მიმართულებით გაიყო, პირველი – ისევ მძიმე მეტალების შემადგენლობით გამოწვეული საფრთხე, მეორე კი ფიზიკური დაზიანებების და გაგუდვის საშიშროება. ევროკავშირმა სახელმწიფოებს და მწარმოებლებს ბავშვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის სარისკო სათამაშოების განადგურებისკენ მოუწოდა. საქართველო ევროკავშირის სწრაფი განგაშის სისტემაში ჩართული ჯერ არ არის, შესაბამისად, სახელმწიფო ოფიციალურ შეტყობინებებს კონკრეტული პროდუქციის მავნებლობასთან დაკავშირებით არ იღებს, თუმცა ინფორმაცია საჯაროა და ის სწრაფად ვრცელდება.

ᲩᲐᲠᲚᲖ III-ᲘᲡ ᲙᲝᲠᲝᲜᲐᲪᲘᲐᲖᲔ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲘᲪ ᲘᲛᲦᲔᲠᲔᲑᲡ

ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ პირველად, სამხრეთ აფრიკელი ოპერის ვარსკვლავი დიდი ბრიტანეთის მონარქის კორონაციაზე იმღერებს. სოპრანო პრითი იენდე გასულ დეკემბერს ვენაში გამოდიოდა, როდესაც მას მენეჯერი დაუკავშირდა და ამცნო, რომ ის მეფე ჩარლზ III-ის კორონაციაზე იყო მიწვეული.

„გაოგნებული, შოკირებული, ბედნიერი ვიყავი. ყველა ემოცია უბრალოდ ერთად მომაწვა“, – იხსენებს სამხრეთაფრიკელი ოპერის ვარსკვლავი. 6 მაისს მთელი მსოფლიოს ყურადღება უესტმინსტერის საკათედროში, ჩარლზ III-ის მეფედ კურთხევის ცერემონიალისკენ იქნება მიმართული, რომელსაც 2 000 სტუმარი დაესწრება. მათ შორის იქნებიან სამეფო ოჯახის წევრები და გლობალური ლიდერები.

ᲛᲔᲡᲮᲔᲗᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲘ „ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲓᲠᲐᲛᲐᲢᲣᲠᲒᲘᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲡ ᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲝᲑᲡ

2023 ᲬᲚᲘᲡ 15 მაისიდან 2 ივნისის ჩათვლით მესხეთის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრი „ეროვნული დრამატურგიის რიგით VII საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალს“ უმასპინძლებს.

ფესტივალში მონაწილეობს 21 თეატრალური დასი საქართველოდან და უცხოეთიდან. 15 მაისს ფესტივალი „თავისუფალი თეატრის“ სპექტაკლით გაიხსნება. წარმოდგენილი იქნება ირაკლი სოლომონაშვილის „მხოლოდ 5 დღე“. მესხეთის თეატრი ტრადიციულად გპირდებათ დაუვიწყარ სანახაობას, წარმოგიდგენთ მრავალფეროვან რეპერტუარს, სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლებით.

შეხვდებით თქვენთვის საყვარელ მსახიობებს, წარმატებულ რეჟისორებს, ცნობილ თეატრმცოდნეებსა და კრიტიკოსებს, რომლებიც გამართავენ დისკუსიებს, ფესტივალის მიმდინარეობისა და ქართული დრამატურგიის შესახებ. ასეთი სახის ღონისძიებების ჩატარება ძალიან მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით იმ კუთხით რომ მომავალში სხვა რეგიონების თეატრებშიც მოეწყოს ფესტივალები.

MERCEDES-BENZ FASHION WEEK TBILISI ᲑᲠᲣᲜᲓᲔᲑᲐ

COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ, Mercedes-Benz Fashion Week Tbilisi ფიზიკური ღონისძიების ფორმატით მრუნდება. კვირეული 4 მაისს გაიხსნება და 8 მაისს დაიხურება. ფესტივალი Factory Tbilisi-ის მულტიფუნქციურ სივრცეში ჩატარდება. გარდა კოლექციების ჩვენებებისა, კვირეულის ფარგლებში სტუმრები ასევე შეძლებენ დაესწრონ გამოფენებს, დისკუსიებს, მასტერკლასებს და სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო და კულტურულ ღონისძიებებს, რომლებიც ქართული თანამედროვე სახელოვნებო სცენის წარმოჩენას ემსახურება.

„დიდი ხნის პაუზის შემდეგ, გადავწყვიტეთ, რომ პროექტი გაგვეგრძელებინა. პანდემია, ომი უკრაინაში, საქართველოში მიმდინარე პროცესები – ამ ყველაფრის გამო კვირეულის ჩატარება რთული იყო. თუმცა ბევრი ფიქრის შემდეგ მივხვდით, რომ მოდა ეს არის პლატფორმა, რომელიც პირველ რიგში სჭირდება ქვეყანას და ნიჭიერ ადამიანებს კრეატიული ინდუსტრიიდან.“

Mercedes-Benz Fashion Week Tbilisi-მა ბოლო ათწლეულის განმავლობაში არაერთი ახალი სახის აღმოჩენა შეძლო. როგორც სოფო ჭყონია აღნიშნავს, წლევანდელი სეზონი განსაკუთრებით გამორჩეულია იმით, რომ ბევრი დამწყები დიზაინერი მონაწილეობს.

ᲒᲕᲔᲠᲓᲘ ᲛᲝᲛᲐᲛᲖᲐᲓᲐ ᲜᲘᲜᲝ ᲧᲝᲜᲭᲐᲠᲐᲫᲔ,
კავკასიის უნივერსიტეტის სტუდენტი

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ᲫᲐᲕᲫᲐᲕᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲛᲖᲘᲠᲘ №17ə

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙ ᲯᲝᲑᲣᲚᲘᲐ
599 36-00-35

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔ
ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ
597-22-07-04

ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲙᲐᲮᲐ ᲯᲝᲠᲘᲫᲔ

ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲛ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ:
ᲒᲣᲠᲐᲛ ᲒᲝᲒᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ
599 53-76-16;
ᲐᲚᲔᲥᲝ ᲐᲡᲚᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ
599 56-81-86;

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲔᲑᲘ:
ᲨᲞᲡ 100 – ᲐᲮᲐᲚᲘ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ“ ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
599 36-00-35
ᲨᲞᲡ „ᲗᲘᲐᲜᲐᲓᲒᲝᲛᲐ -1-ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ“ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ“
ტ: 599 79-76-79

ᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲡᲢᲐᲛᲑᲐ
„ᲙᲝᲚᲝᲠᲘ“
Ე. ᲑᲐᲚᲓᲐᲕᲐᲫᲘᲡ №3
ᲙᲝᲚᲝᲠ ᲯᲒᲣᲤᲘ

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
2 009882 616932

ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲚᲔᲑᲝᲓ!
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲣᲙᲕᲔᲗᲐᲕᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ. ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲘ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲣᲓᲐᲛ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲡ. ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲐᲒᲔᲑᲔᲜ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲛᲓᲔᲕᲜᲝ ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲐ ᲮᲕᲐᲚ, 4 ᲛᲐᲘᲡᲡ

ᲣᲪᲮᲝᲣᲠᲘ ᲕᲐᲚᲣᲢᲘᲡ ᲙᲣᲠᲡᲘ:
ᲐᲨᲨ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ - 2.4940; ᲔᲕᲠᲝ - 2.7449;
ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲣᲚᲘ ᲒᲘᲠᲕᲐᲜᲥᲐ ᲡᲢᲔᲠᲚᲘᲜᲒᲘ - 3.1237;
100 ᲠᲣᲑᲚᲘ - 3.1153; ᲗᲣᲠᲥᲣᲚᲘ ᲚᲘᲠᲐ - 0.1294;
ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲘ ᲛᲐᲜᲐᲗᲘ - 1.4697;
1000 ᲡᲝᲛᲮᲣᲠᲘ ᲓᲠᲐᲛᲘ - 6.4601

ᲐᲛᲘᲜᲓᲘ 3 ᲛᲐᲘᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+4,	ᲓᲦᲔ	+15
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	0,	ᲓᲦᲔ	+13
ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ:				
ᲑᲐᲠᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+5,	ᲓᲦᲔ	+17
ᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲔᲑᲘ -	ᲦᲐᲛᲔ	+2,	ᲓᲦᲔ	+13
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ:	ᲦᲐᲛᲔ	+8,	ᲓᲦᲔ	+15

ᲓᲐᲒᲕᲘᲠᲔᲙᲔᲗ, ᲛᲝᲒᲕᲬᲔᲠᲔᲗ:
ᲢᲔᲚ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ᲔᲚ. ᲤᲝᲡᲢᲐ: sakresp@top.ge
ᲓᲐ sakresp@mail.ru
ᲕᲔᲑ-ᲒᲕᲔᲠᲓᲘ: www.sakresp.ge